პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

კვირა, 10 ივლისი, 1949 წ. № 136 (8439). ფასი 20 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დღეს გაზეთშია:

მორიგი გამარჯვებებით აღვნიშნოთ მეშახტის დღე — მოწინავე (1-ლი გვერდი).
ჩვენს რესპუბლიკაში (1-ლი გვერდი).
ბულგარელი მშრომელები ეთხოვებიან გ. მ. დიმიტროვს (მე-2 გვერდი).
დოცენტი გ. ერემოვი — ვ. ი. ლენინის ლექცია სახელმწიფოს შესახებ (მე-2 გვერდი).
რატომ ჩამორჩა თბილისის ორთქლმავალ-ვაგონსარემონტო ქარხანა (მე-2 გვერდი).
პარტიული ცხოვრება (მე-2 გვერდი).
რატომ აჭიანურებენ ჭარხლის ნათესების მორწყვას? (მე-3 გვერდი).
ი. რუხაძე — თურქეთი დღეს (მე-3 გვერდი).
ვახტანგ ჭელიძე — ერთი დისერტაციის შესახებ (მე-3 გვერდი).
პროფკავშირთა მეორე მსოფლიო კონგრესზე (მე-4 გვერდი).

## მორიგი გამარჯვებებით აღვნიშნოთ მეშახტის დღე

სწრაფად ვითარდება ქვანახშირის მრეწველობა, წლითიწლობით იზრდება ამ ძვირფასი სათბობის მოპოვება, მოქმედ საწარმოთა მწყობრში დგებიან ახალი შახტები, მეშახტეებისათვის შენდება კეთილმოწყობილი ბინები. რესპუბლიკის მეშახტეთა თვალსაჩინო წარმატებას მეტყველებს თუნდაც ის ფაქტი, რომ საქართველოს ქვანახშირის შახტების საერთო სიმძლავრე მარტო უკანასკნელი სამი წლის განმავლობაში, ომამდელ 1940 წელთან შედარებით, 170 პროცენტით გაიზარდა, ხოლო შარშან ქვანახშირის ამოღებამ 101,1 პროცენტით გადააჭარბა 1940 წლის დონეს. ამ წარმატების მიუხედავად, ქვანახშირის მოპოვების სახელმწიფო გეგმა განვლილ წლებში შეუსრულებელი დარჩა. მეშახტეებმა დიდძალი ქვანახშირი დააკლეს სამშობლოს.

საქართველოს კ. პ. (ბ) XIV ყრილობაზე ამხანაგმა კ. ჩარკვიანმა თავის მოხსენებაში შეაჯამა ქვანახშირის მრეწველობის განვლილი წლების მუშაობის შედეგები და რესპუბლიკის მეშახტეთა წინაშე მთელი რიგი კონკრეტული ამოცანები დასახა. ყრილობამ დაავალა ჩვენი პარტიის ცენტრალურ კომიტეტს „...მუდმივი მეთვალყურეობა გაუწიოს ქვანახშირის მრეწველობას და განახორციელოს ღონისძიებანი საქართველოს ქვანახშირის კომბინატის ტრესტებისა და შახტების მუშაობის შემდგომი გაუმჯობესებისათვის, უზრუნველყოს ქვანახშირის მოპოვების სახელმწიფო გეგმის აუცილებელი შესრულება".

ხუთი თვე გავიდა ყრილობის ამ დირექტივის გამოქვეყნების შემდეგ. ამ ხნის განმავლობაში საქართველოს მეშახტეებმა საგრძნობი მუშაობა გასწიეს ყრილობის მითითებათა განსახორციელებლად, ქვანახშირის მოპოვების გასადიდებლად და ერთგვარი წარმატებაც მოიპოვეს. საქართველოს ქვანახშირის კომბინატმა 92,4 პროცენტით შეასრულა სამეურნეო წლის პირველი ნახევრის გეგმა და გასული წლის იმავე პერიოდთან შედარებით 12,8 პროცენტით გაადიდა ქვანახშირის მოპოვება. უკანასკნელ თვეებში განსაკუთრებით დაწინაურდა ტყვარჩელქვანახშირის ტრესტი, რომელმაც ნახევარი წლის საგეგმო დავალებას 5,6 პროცენტით გადააჭარბა და გასული წლის პირველ ნახევართან შედარებით 17,7 პროცენტით მეტი ქვანახშირი მოგვცა.

საქართველოს ქვანახშირის მრეწველობის წარმატება გაცილებით მეტი იქნებოდა, რომ კვლავ არ გრძელდებოდეს ჩამორჩენა ტყიბულისა და ახალციხის შახტებში. მიუხედავად იმისა, რომ ტყიბულქვანახშირის ტრესტმა გასული წლის პირველ ნახევართან შედარებით 10,6 პროცენტით გაადიდა ქვანახშირის მოპოვება, მიმდინარე ნახევარი წლის გეგმის შესრულება მხოლოდ 87,8 პროცენტით შეძლო. ტრესტის არც ერთ შახტს არ შეუსრულებია დავალება. სახელმწიფო დავალებათა შესრულებაში კიდევ უფრო ჩამორჩა ახალციხის შახტსამმართველო.

ქვანახშირის ამოღების გეგმის შესრულებას ძირითადად წყვეტს სამთო-მოსამზადებელ სამუშაოთა უნარიანი წარმოება, სანგრევი ხაზის მუდმივი წინსვლა.

როგორ მიმდინარეობს ამ მიმართულებით მუშაობა? გადაჭრით უნდა ითქვას, რომ ჯერ კიდევ არადამაკმაყოფილებლად. სამთო-მოსამზადებელ სამუშაოთა ნახევარი წლის დავალება ტყიბულქვანახშირის ტრესტს მხოლოდ 71,4 პროცენტით აქვს შესრულებული. მოსამზადებელ სამუშაოთა გეგმების შესრულებაში ასევე ჩამორჩებიან ტყვარჩელელი და ახალციხელი მეშახტეები. შახტების ხელმძღვანელებს ქვანახშირის მრეწველობაში ეს უმნიშვნელოვანესი სამუშაო რატომღაც დღემდე მეორეხარისხოვან საქმედ მიაჩნიათ. ამის შედეგი ის არის, რომ მოსამზადებელი უბნები საკმაო მუშახელით არ არიან დაკომპლექტებული, უბნებში ჯეროვან სიმაღლეზე არ დგას შრომის ორგანიზაცია.

ქვანახშირის ამოღების გეგმების შესრულებისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს სოციალისტური შეჯიბრების ფართოდ გაშლას, შეჯიბრებისადმი უნარიან ხელმძღვანელობას, ძალების სწორად განაწილებას. ამ მიმართულებითაც შახტებში ყველაფერი რიგზე როდია.

სოციალისტური შეჯიბრების ძალა მის მასობრივობაშია. შეჯიბრების სწორედ ამ მასობრივობას, შეჯიბრებისადმი ხელმძღვანელობის მაღალ საფეხურზე აყვანას ჯერ კიდევ ვერ მიაღწიეს ტყიბულის შახტების პარტიულმა და პროფესიულმა ორგანიზაციებმა. ამის შედეგად საპირველმაისო სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩაბმულმა 13 უბანმა, 35 ცვლამ და 33 ბრიგადამ ვერ შეძლო ნაკისრ ვალდებულებათა განაღდება.

ჩამორჩენის მიზეზი ისიც არის, რომ შახტებში ნაკლები ყურადღება ექცევა შრომატევად სამუშაოთა მექანიზაციას, მექანიზმების სიმძლავრის ათვისებას, ახალგაზრდა კვალიფიციური კადრების დანიშნულებისამებრ გამოყენებას. ზოგჯერ საფაბრიკო-საქარხნო სწავლების სკოლადამთავრებულ ახალგაზრდა მნგრეველებს მტვირთავებად იყენებენ, არ უქმნიან მათ მუშაობის ნორმალურ პირობებს.

საქართველოს ქვანახშირის მრეწველობაში, კერძოდ ტყიბულის შახტებში საკმაოდ მოიპოვებიან წარჩინებული სტახანოველი მეშახტეები, არიან მოწინავე ბრიგადები, ცვლები და უბნები. ისინი წარმატებით ასრულებენ შეჯიბრებით ნაკისრ ვალდებულებებს, ყოველდღიურად სამშობლოს გეგმის გადამეტებით აძლევენ ქვანახშირს. მაგრამ მოწინავეებთან ერთად, არიან ჩამორჩენილნიც, რომლებიც უკან სწევენ გეგმის შესრულების მაჩვენებლებს. ჩამორჩენილთა წინ წამოწევა, მათთვის ქმედითი დახმარების გაწევა ტრესტებისა და შახტების სამეურნეო ხელმძღვანელობის, პარტიული, პროფესიული და კომკავშირული ორგანიზაციების ძირითადი საბრძოლო ამოცანაა.

სსრ კავშირის მეშახტეებთან ერთად, ჩვენი რესპუბლიკის მეშახტეები წელს აგვისტოს უკანასკნელ კვირას მეორედ აღნიშნავენ მეშახტის საკავშირო დღეს. ამ დღის ღირსეული შეხვედრისათვის უკვე გაჩაღებულია სოციალისტური შეჯიბრება სსრ კავშირის ქვანახშირის მრეწველობაში. ერთმანეთს ეჯიბრებიან ტყვარჩელელი, ტყიბულელი და ახალციხელი მეშახტეებიც.

ტყვარჩელქვანახშირის ტრესტის მეშახტეები უკანასკნელ თვეებში დღითიდღე აუმჯობესებენ მუშაობას, მათ ქვანახშირის მოპოვების ივნისის გეგმას 11,4 პროცენტით გადააჭარბეს, ხოლო ძირითად მოსამზადებელ სამუშაოთა და სანგრევი ხაზის წინ წაწევის უკანასკნელი თვის დავალებანი საგრძნობი გადამეტებით გაანაღდეს.

ტყვარჩელელმა მეშახტეებმა უნდა განამტკიცონ უკანასკნელ თვეებში მოპოვებული წარმატება, ხოლო ტყიბულელმა და ახალციხელმა მეშახტეებმა უახლოეს დროში აღმოფხვრან ჩამორჩენა, მკვეთრად გაადიდონ ქვანახშირის მოპოვება და მოსამზადებელი სამუშაოები, იბრძოლონ შეჯიბრებაში გამარჯვების მოპოვებისათვის.

## ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის მთავრობის დელეგაცია მოსკოვიდან გაემგზავრა

9 ივლისს მოსკოვიდან გაემგზავრა ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის მთავრობის დელეგაცია მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის ზ. ფირლინგერის, საგარეო ვაჭრობის მინისტრის მოადგილის რ. დვორჟაკის, მრეწველობის მინისტრის მოადგილის ი. გოლის, ჩეხოსლოვაკია-საბჭოთა კავშირის სავაჭრო პალატის თავმჯდომარის ი. ფუკატკოს, ჩეხოსლოვაკიის საგარეო ვაჭრობის სამინისტროსთან არსებული სსრ კავშირთან ვაჭრობის საქმეთა რწმუნებულის ი. ფირლინგერის შემადგენლობით.

ვნუკოვოს აეროდრომზე დელეგაცია გააცილეს სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრმა ა. ი. ვიშინსკიმ, სსრ კავშირის საგარეო ვაჭრობის მინისტრის მოადგილემ პ. ნ. კუმიკინმა, მოსკოვის საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ პ. ვ. აბრამოვმა, ქალაქ მოსკოვის კომენდანტმა გენერალ-ლეიტენანტმა კ. რ. სინილოვმა, სსრ კავშირის სავაჭრო წარმომადგენელმა ჩეხოსლოვაკიაში პ. ვ. დაშკევიჩმა, საკავშირო სავაჭრო პალატის თავმჯდომარემ მ. ვ. ნესტეროვმა, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს მე-4 ევროპული განყოფილების გამგემ ს. პ. კირსანოვმა, სსრ კავშირის საგარეო ვაჭრობის სამინისტროს საოქმო განყოფილების უფროსმა ნ. ი. კუზმინსკიმ, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს საოქმო განყოფილების გამგის მოვალეობის შემსრულებელმა პ. ა. ბუშუევმა და ჩეხოსლოვაკიის მოსკოვის საელჩოს წევრებმა ელჩის ბ-ნ ბ. ლაშტოვიჩკას მეთაურობით.

აეროდრომი მორთული იყო საბჭოთა კავშირისა და ჩეხოსლოვაკიის ალმებით. (საქდესი).

# ჩვენს რესპუბლიკაში

### დუშეთისა და დმანისის რაიონების კოლმეურნეობებმა და კოლმეურნეებმა შეასრულეს მეცხოველეობის პროდუქტების დამზადების ნახევარი წლის გეგმა

დუშეთის რაიონის კოლმეურნეობებმა და კოლმეურნეებმა ხორცის დამზადების ნახევარი წლის გეგმა 199,0 პროცენტით შეასრულეს, რძისა — 107,3 პროცენტით, კვერცხისა — 100,1 პროცენტით, მატყლისა — 101,7 პროცენტით, მსხვილფეხა პირუტყვის ტყავისა — 122,5 პროცენტით, წვრილფეხა პირუტყვის ტყავისა — 100,0 პროცენტით და ღორის ტყავისა — 100,0 პროცენტით.

დმანისის რაიონის კოლმეურნეობებმა და კოლმეურნეებმა ხორცის დამზადების ნახევარი წლის გეგმა 108,0 პროცენტით შეასრულეს, რძისა — 102,3 პროცენტით, მატყლისა — 111,1 პროცენტით, ბრინზა ყველისა — 100,0 პროცენტით, მსხვილფეხა პირუტყვის ტყავისა — 100,9 პროცენტით, წვრილფეხა პირუტყვის ტყავისა — 100,4 პროცენტით და ღორის ტყავისა—120,0 პროცენტით.

### მოსკოველთა პატრიოტული თაოსნობის პასუხად

სოხუმი. (საქ. კორ.). ფართოდ გაჩაღებული სოციალისტური შეჯიბრების შედეგად სოხუმის მთელმა რიგმა საწარმოებმა ვადამდე შეასრულეს ნახევარი წლის გეგმა და მოსკოველთა პატრიოტული თაოსნობის პასუხად იკისრეს წარმოების მოცულობის მხრივ ხუთწლედის უკანასკნელი წლისათვის დაგეგმილი პროდუქციის გამოშვების დავალება გაანაღდონ მიმდინარე წელს.

სტალინის სახელობის თამბაქოს ფაბრიკამ 28 ივნისისათვის გადაჭარბებით შეასრულა სამეურნეო წლის პირველი ნახევრის დავალება, გეგმის გადამეტებით გამოუშვა 53.274 ათასი ცალი პაპიროსი და საბრუნავ საშუალებათა ბრუნვის დაჩქარებით სახელმწიფოს გაუთავისუფლა 1.300 ათასი მანეთი. მეთამბაქოეებმა იკისრეს 1950 წლისათვის დაგეგმილი პროდუქციის გამოშვების გეგმა შეასრულონ დიდი ოქტომბრის 32-ე წლისთავისათვის და წლის ბოლომდე ქვეყანას მისცენ 150 მილიონი ცალით მეტი პაპიროსი, ვიდრე მიმდინარე წლის გეგმით არის გათვალისწინებული.

წარმოების მოცულობის მხრივ ახალი ხუთწლედის ოთხ წელიწადში შესრულება იკისრეს აგრეთვე ტყავფეხსაცმლის კომბინატის, საკონსერვო ქარხნისა და საკონდიტრო ფაბრიკის კოლექტივებმა.

### დახერხილი მასალა გეგმის გადამეტებით

სტალინირი. (საქ. კორ.). ადგილობრივი მრეწველობის ხე-ტყის სახერხმა ქარხანამ მიმდინარე წლის პირველ კვარტალში გეგმის გადამეტებით დახერხა 192 კუბმეტრი ხის მასალა. განსაკუთრებით კარგად იმუშავა ქარხანამ აპრილში — თვიური დავალება 400 პროცენტით შეასრულა, ხოლო მაისში გეგმის გადამეტებით 308 კუბმეტრი ხის მასალა დახერხა.

ქარხნის კოლექტივმა იკისრა უფრო გააძლიეროს მუშაობა და წლიური გეგმა 7 ნოემბრისათვის შეასრულოს.

რკინიგზელის სტალინური დღის შესახვედრად

### ბათუმელ რკინიგზელთა წარმატება

ბათუმი. (საქ. კორ.). საორთქლმავლო და სავაგონო დეპოებში, საბარგო და სამგზავრო სადგურებში, სალიანდაგო დისტანციაში და რკინიგზის სხვა ობიექტებზე ფართოდ არის გაშლილი სოციალისტური შეჯიბრება რკინიგზელთა ტრადიციული დღესასწაულისათვის მაღალი საწარმოო მაჩვენებლების მოსაპოვებლად. სავაგონო დეპოს კოლექტივმა იკისრა დიდი ოქტომბრის ოცდამეთორმეტე წლისთავისათვის შეასრულოს ხუთწლიანი გეგმა. საუკეთესო ხარისხის პროდუქციის გამოშვებისათვის მებრძოლ ბრიგადებს შორის აქ განსაკუთრებით მაღალ მაჩვენებლებს მიაღწიეს მექვაბეთა ბრიგადამ (ბრიგადირი მ. სუროვცევი), სამუხრუჭე მოწყობილობათა საზეინკლო ბრიგადამ (ბრიგადირი ა. ფედიჩკინი), დურგალთა ბრიგადამ (ბრიგადირი ე. სარიშვილი), ცისტერნების მრეცხავთა ბრიგადამ (ბრიგადირი ა. ფირცხალაიშვილი) და სხვ.

საუკეთესო ხარისხის პროდუქციის გამოშვებისათვის შეჯიბრებაში ჩაბმულია 14 ბრიგადა. მათ შორის საუკეთესო მაჩვენებლები აქვთ პ. ჩხაიძის კომპლექსურ ბრიგადას, ხოლო მემანქანეთა გუნდებს შორის ნ. დარჩიას გუნდს, რომელმაც 1949 წლის პირველ ნახევარში ყველაზე მეტი რაოდენობით გასწია საწვავის ეკონომია. კარგ მაჩვენებლებს მიაღწიეს აგრეთვე ლუნინელმა მემანქანეებმა მ. ბახტაძემ და მ. კუნჭულიამ.

მაღალ საწარმოო მაჩვენებლებს მიაღწია ბათუმის საბარგო სადგურის კოლექტივმა, რომელმაც მაისსა და ივნისში ვაგონების გაცდენის სრული ლიკვიდაცია შეძლო, ხოლო ქვაბების მოცდენა გეგმასთან შედარებით 12 პროცენტით შეამცირა.

კარგი მაჩვენებლებით ხვდება რკინიგზელის სტალინურ დღეს ბათუმის სამგზავრო სადგურის კოლექტივიც, რომელმაც მაისში ამიერკავკასიის რკინიგზის სამგზავრო სადგურებს შორის შეჯიბრებაში მეორე ადგილი მოიპოვა.

ბათუმელმა რკინიგზელებმა მაღალნაყოფიერად იმუშავეს ივნისშიც.

### ორდენებისა და მედლების გადაცემა

ზესტაფონი. (საქ. კორ.). ამ დღეებში ზესტაფონის ჩარკვიანის სახელობის კულტურისა და დასვენების პარკის საესტრადო თეატრში საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ამხ. ვ. გოგუამ სსრ კავშირის ორდენები და მედლები გადასცა ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის მუშაკთა ჯგუფს 196 კაცის შემადგენლობით, რომლებიც დაჯილდოებული არიან მეტალურგიულ მრეწველობაში ხანგრძლივი და უმწიკვლო მუშაობისათვის.

სსრ კავშირის ორდენები და მედლები გადაეცათ აგრეთვე ზესტაფონის, ორჯონიკიძისა და ჩხარის რაიონების მასწავლებლებს—სულ 299 კაცს, რომლებიც დაჯილდოებული არიან განათლების დარგში ხანგრძლივი და უმწიკვლო მუშაობისათვის.

დაჯილდოებულთა სახელით სიტყვებით გამოვიდნენ: ფეროშენადნობთა ქარხნის ძველი მდნობელი სტახანოველი ლ. ნებიერიძე, ქარხნის დირექტორი ი. კეკელიძე; ზესტაფონის რაიონის დაჯილდოებულ მასწავლებელთა სახელით — ლენინის ორდენოსანი გ. კაკაურიძე, ორჯონიკიძის რაიონიდან ლენინის ორდენოსანი მ. ჩიკვაიძე და ჩხარის რაიონიდან მედალოსანი დ. კაჭკაჭიშვილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ამხ. ვ. გოგუამ დაჯილდოებულთ მიულოცა მაღალი ჯილდო და უსურვა შემდგომი წარმატება მუშაობაში.

### საკოლმეურნეო მეცხვარეობის მოწინავეებს ჯილდოები გადაეცათ

9 ივლისს საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მინისტრმა ამხ. გ. ა. ალავიძემ სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის მინისტრის დავალებით ნიშნები „სოციალისტური სოფლის მეურნეობის წარჩინებული" გადასცა საქართველოს საკოლმეურნეო მეცხვარეობის მოწინავეებს, რომლებსაც ეს ჯილდო მიენიჭათ მეცხვარეობის 1948 წლის სახელმწიფო გეგმის წარმატებით შესრულებისათვის და მოზარდეულის ჩინებულად შენარჩუნებისათვის.

ნიშნით „სოციალისტური სოფლის მეურნეობის წარჩინებული" დაჯილდოებულია 45 კაცი — მეცხვარეობის ფერმების გამგეები, მეჯოგეები, კოლმეურნეობათა თავმჯდომარეები და მეცხვარეობის სპეციალისტები. დაჯილდოებულთა შორის არიან სიღნაღის რაიონის სოფელ მაღაროს კოლმეურნეობა „შრომის" მეცხვარეობის ფერმის გამგე სოციალისტური შრომის გმირი გ. ი. უსენაშვილი, წითელწყაროს რაიონის სოფელ არხილოს კალოს კიროვის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე ი. ა. ქავთარაძე, წოლოკიძის რაიონის სოფელ კონტუათის ცხაკაიას სახელობის კოლმეურნეობის მეჯოგე ვ. ტ. კვინჩია, საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს მეცხვარეობის სამმართველოს მთავარი ზოოტექნიკოსი ა. დ. დავითაშვილი და სხვ. (საქდესი).

### რუმინელ გლეხთა დელეგაციის მიღება საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროში

გუშინ, 9 ივლისს, საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროში შედგა მიღება რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის გლეხთა დელეგაციის პატივსაცემად.

დელეგაციის წევრებმა ილაპარაკეს თავიანთ შთაბეჭდილებებზე საბჭოთა საქართველოს კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, მანქანა-ტრაქტორთა სადგურებისა და საწარმოების მუშაობის შესახებ.

რუმინეთის მიწათმოქმედების სამინისტროს მევენახეობისა და მეხილეობის სამმართველოს დირექტორმა იონ ლეშიანუმ ყველა დელეგატის სახელით გულითადი მადლობა გადაუხადა საქართველოს მშრომელებს გულთბილი, მეგობრული მიღებისათვის.

საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მინისტრმა ამხ. გ. ა. ალავიძემ სტუმრებს გადასცა ძვირფასი საჩუქრები. რუმინელ გლეხთა დელეგაციის წევრმა მიხეილ რატუშნიმ რუმინეთის სოფლის მშრომელთა სახელით მინისტრს გადასცა საჩუქარი — რუმინული ორნამენტით მორთული ხალიჩა.

რუმინელ გლეხთა დელეგაციის პატივსაცემად გაიმართა სადილი.

9 ივლისს საღამოს რუმინეთის მშრომელი გლეხობის წარმომადგენლები თბილისიდან აზერბაიჯანს გაემგზავრნენ. (საქდესი).

### ჩაის ახალი ფაბრიკა

ჩხოროწყუ. (საქ. კორ.). სოფელ ლესიჭინეში (ჩხოროწყუს რაიონი) შენდება ჩაის ახალი ფაბრიკა. იგი საექსპლოატაციოდ გადაეცემა 1950 წლისათვის და სეზონის განმავლობაში გადაამუშავებს 2 მილიონ კილოგრამ ჩაის ხარისხოვან ფოთოლს.

ფაბრიკის მშენებლობა ჩქარი ტემპით მიმდინარეობს. აგებულია მუშათა საცხოვრებლად ორი სტანდარტული სახლი. დაწყებულია კიდევ სამი ასეთი სახლის მშენებლობა.

წელს ფაბრიკის მშენებლობაზე დაიხარჯება 2,5 მილიონი მანეთი.

### რძის გადამამუშავებელი ქარხნები

ბორჯომი. (საქ. კორ.). დაბაძველას მთაზე აშენდა რძის გადამამუშავებელი ქარხანა, რომელიც წელიწადში გადაამუშავებს 75 ტონა რძეს. ქარხანა მოემსახურება დვირის სასოფლო საბჭოში შემავალ კოლმეურნეობებს.

ტაბაწყურის, გუჯარეთისა და მაჭარწყლის სასოფლო საბჭოში შემავალ კოლმეურნეობათა მომსახურებისათვის რძის გადამამუშავებელი ასეთივე ქარხანა აშენდა ნარიანის საძოვარზე.

რძის გადამამუშავებელი დიდი ქარხნის მშენებლობა უახლოეს ხანში დაიწყება ბაკურიანში, რომელიც ყოველწლიურად გადაამუშავებს 500 ტონა რძეს.

### კინომომსახურება საზაფხულო იალაღებზე

ასპინძა. (საქ. კორ.). ასპინძის რაიონის საზაფხულო იალაღები — აგარა და ნიალა მოფენილია ასპინძის, წითელწყაროს, თეთრი წყაროს და სხვა რაიონების კოლმეურნეობათა ცხვრებით. საზაფხულო იალაღებზე მეცხოველეობის მუშაკთა კულტურული მომსახურების მიზნით ასპინძის კინობაზა სისტემატურად გზავნის კინოსურათებს. მეცხოველეობის მუშაკებს უკვე უჩვენეს კინოსურათები „სტალინგრადის ბრძოლა", „მიჩურინი", „შეხვედრა ელბაზე" და სხვ.

### კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა კეთილმოწყობა

ქუთაისი. (საქ. კორ.). ქალაქის კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა ზრდა-განვითარებისა და კეთილმოწყობისათვის უკანასკნელ 3 წლის მანძილზე გაღებულ იქნა 5 მილიონ მანეთზე მეტი.

ამჟამად ქალაქში მუშაობს 18 ბიბლიოთეკა, 3 საქალაქო კლუბი, კულტურისა და დასვენების კეთილმოწყობილი პარკი, კულტურის სახლი, სალექციო ბიურო და ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი.

### დაიწყო ახალი ელექტროსადგურის მშენებლობა

ლენინგორი. (საქ. კორ.). ლარგვისის სასოფლო საბჭოში შემავალი კოლმეურნეობები შეუდგნენ ახალი ელექტროსადგურის მშენებლობას.

მშენებლობაზე დიდი ენთუზიაზმით მუშაობენ მშველიეთის, ხარბალის, ყველიდაბის და ლარგვისის კოლმეურნეობათა წევრები.



დღითიდღე ფართოვდება მოსავლის აღების ფრონტი. კოლმეურნეები და საბჭოთა მეურნეობების მუშაკები კომბაინებით, სამკელი მანქანებით, ხელით იღებენ თავთავიან კულტურებს. სურათზე: თელეთის მტს-ის კომბაინერი გ. კირილჩენკო და მეშვიდე ბრიგადის ტრაქტორისტი ა. სმირნოვი, რომლებიც თბილისის რაიონის მახარაძის სახელობის კოლმეურნეობის ფართობში იღებენ პურის მოსავალს.

ფოტო რ. აკოფოვისა

# ბულგარელი მშრომელები ეთხოვებიან გ. მ. დიმიტროვს

**სოფია**, 8 ივლისი. (საკდესი). [illegible] 2 საათამდე გ. მ. დიმიტროვს გამოეთხოვა 100 ათასი მშრომელი. კუბოს შესამკობად მიტანილია 1.500-მდე გვირგვინი, მათ შორის საბჭოთა მთავრობის დელეგაციის, მოსკოვის, ლენინგრადისა და უკრაინის მშრომელთა დელეგაციების, აგრეთვე რუმინეთის დელეგაციის გვირგვინები.

ყოველ ხუთ წუთში იცვლება საპატიო ყარაული. ბულგარეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრებთან ერთად საპატიო ყარაულში იდგნენ ამხ. კ. ე. ვოროშილოვი, ამხანაგები ა. თ. გორკინი, ნ. ა. მიხაილოვი, ნ. ფ. იუდინი, ტ. მ. ზუევა, სსრ კავშირის ელჩი ბულგარეთში მ. ფ. ბოდროვი, მოსკოვის, ლენინგრადისა და უკრაინის მშრომელთა დელეგაციების წევრები, რუმინეთის დელეგაციის ხელმძღვანელი ანა პაუკერი და სხვ.

სახალხო კრების დარბაზში მაღალ პოსტამენტზე დადგმულ კუბოში განისვენებს მუშათა კლასის საქმისათვის მამაცი და უშიშარი მებრძოლის გიორგი დიმიტროვის ცხედარი.

მშრომელნი უკანასკნელად უცქერიან განსვენებულს, ცდილობენ სამუ- [illegible] „ბოლგარიას“ მუშები, საფაბრიკო-საქარხნო სკოლების მოსწავლეები, დიასახლისები, დედებს ხელში უჭირავთ თავიანთი პატარა ბავშვები.

პაზარჯიკის ოკოლიის მუშები, მოსამსახურეები და გლეხები კუბოს გვირგვინებით ამკობენ.

კუბოს ჩაუარა რკინიგზელთა კოლონამ. მოდიან გიორგი დიმიტროვის სახელობის ქარხნის მუშები, ვასილ ლევსკის სახელობის რაზმის ყოფილი პარტიზანები, ხასკოვოს, კერჯალის, პლოვდივის, სვილენგრადისა და სხვა ოკოლიების მშრომელნი.

„კალინის“ წყალსაცავის ახალგაზრდა მშენებლებს მოაქვთ ლოზუნგი: „გეფიცებით შენ, ამხანაგო დიმიტროვ, რომ ვიქნებით ფხიზელნი, დავძლევთ ყველა სიძნელეს და ავაშენებთ სოციალიზმს ჩვენს ქვეყანაში“.

მეორე კოლონის ლოზუნგი მოუწოდებს მშრომელთ გაუფრთხილდნენ საბჭოთა კავშირთან ურღვევ მეგობრობას და განამტკიცონ იგი, რაც, როგორც დიმიტროვი აღნიშნავდა, ბულგარელი ხალხისათვის საჭიროა, „როგორც მზე და ჰაერი ყოველი ცოცხალი არსებისათვის“.

# გ. მ. დიმიტროვის ხსოვნისადმი მიძღვნილი სამგლოვიარო სხდომა ვარშავაში

**ვარშავა**, 8 ივლისი. (საკდესი). დღეს ვარშავაში შედგა საერთაშორისო მუშათა მოძრაობის გამოჩენილი მოღვაწის გიორგი დიმიტროვის ხსოვნისადმი მიძღვნილი სამგლოვიარო სხდომა.

სამგლოვიარო სხდომას დაესწრნენ პოლონეთის რესპუბლიკის პრეზიდენტი ბოლესლავ ბერუტი, სეიმის მარშალი კოვალსკი, პოლონეთის მთავრობის წევრები პრემიერ-მინისტრ ცირანკევიჩის მეთაურობით, პოლიტიკური პარტიების, საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და დედაქალაქის საწარმოთა წარმომადგენლები.

სხდომას დაესწრნენ აგრეთვე დიპლომატიური კორპუსის წევრები.

სამგლოვიარო სხდომა გახსნა პრემიერ-მინისტრმა ცირანკევიჩმა.

— პოლონეთის მუშათა კლასი და მისი პარტია — პოლონეთის მუშათა გაერთიანებული პარტია, პოლონელი ხალხი და ყველა დემოკრატიული პარტია, აგრეთვე პოლონეთის მთავრობა, — თქვა ცირანკევიჩმა, — ულრმეს პატივს სცემენ მშვიდობისა და თავისუფლებისათვის საერთაშორისო ბრძოლის გმირს, ბულგარელი ხალხის ბელადს გიორგი დიმიტროვს, რომელიც სიკვდილმა გამოსტაცა ჩვენს რიგებს.

მთელი თავისი ნაყოფიერი სიცოცხლის განმავლობაში გიორგი დიმიტროვი იბრძოდა თავისი ხალხისა და მთელი მსოფლიოს ხალხთა ბედნიერებისა და თავისუფლებისათვის, ის იყო ლენინისა და სტალინის ერთგული მოწაფე, მარქსიზმ-ლენინიზმის თავდადებული დამცველი.

მოხსენებით გიორგი დიმიტროვის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ გამოვიდა პოლონეთის მუშათა ერთიანი პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი სეიმის ვიცე-მარშალი ზამბროვსკი.

# ავსტრალიის კომპარტიის გენერალური მდივანი შარკი გ. მ. დიმიტროვის გარდაცვალების შესახებ

**სიდნეი**, 8 ივლისი. (საკდესი). სტატიაში, რომელიც გაზეთ „ტრიბუნში“ გამოქვეყნდა, ავსტრალიის კომუნისტური პარტიის გენერალური მდივანი შარკი წერს: „ულრმესი მწუხარების გრძნობით შევიტყვეთ საერთაშორისო მუშათა კლასის რიგებში ერთ-ერთი უდიდესი მებრძოლისა და მშვიდობისა და სოციალიზმისათვის მსოფლიო ბრძოლის გამოჩენილი ბელადის გიორგი დიმიტროვის გარდაცვალება. დიმიტროვის სახელი დიდებულად იკაშკაშებს ისტორიის ფურცლებზე. ვფიცავთ, რომ ყოველთვის მივბაძავთ მის დიდ მაგალითს და საბოლოო გამარჯვებამდე მივიყვანთ მის კეთილშობილურ საქმეს“.

# რატომ ჩამორჩა თბილისის ორთქლმავალ-ვაგონსარემონტო ქარხანა

### პარტიულ-სამეურნეო აქტივის საქარხნო კრებაზე

მიმდინარე წლის პირველ ნახევარში სტალინის სახელობის თბილისის ორთქლმავალ-ვაგონსარემონტო ქარხნის კოლექტივმა ვერ შეასრულა ორთქლმავლებისა და ვაგონების რემონტის გეგმა. რატომ ვერ შეძლო ქარხნის კოლექტივმა საწარმოო დავალებათა წარმატებით განაღდება? ამ საკითხის განსახილველად 8 ივლისს პლეხანოვის სახელობის კლუბში შედგა ამ ქარხნის პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრება, რომელსაც დაესწრნენ საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივანი ამხ. ვ. ცხოვრებაშვილი, საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის მდივანი ამხ. თ. ქვლივიძე, თბილისის კომიტეტის სამრეწველო-სატრანსპორტო განყოფილების გამგე ამხ. ბ. ლელინი, საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის ლენინის რაიკომის მდივანი ამხ. ვ. ბარბაქაძე და სხვ.

აქტივის კრება გახსნა ქარხნის პარტიული კომიტეტის მდივანმა ამხ. გ. გეგეშიძემ, მოხსენებით ქარხნის კოლექტივის ნახევარი წლის მუშაობის შედეგების შესახებ გამოვიდა ქარხნის უფროსი ამხ. დ. მამაცაშვილი. მოხსენების შემდეგ გამართულ კამათში მონაწილეობა მიიღეს საამქროთა უფროსებმა, ინჟინერ-ტექნიკოსებმა და მოწინავე სტახანოველებმა ამხ. ბოჭორიშვილმა, კაკიტელაშვილმა, ფირცხალავამ, კლეიმანმა, შეკეთებული ორთქლმავლების მიმღებმა ინსპექტორმა ბედენაშვილმა, მექვაბე სუხარევმა და სხვებმა.

აქტივის მუშაობა შეაჯამა კრებაზე სიტყვით გამოსულმა საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის მდივანმა ამხ. თ. ქვლივიძემ.

კრებაზე გამოირკვა, რომ ქარხნის კოლექტივის ჩამორჩენა გამოწვეულია უმთავრესად ისეთი ადგილობრივი ხასიათის მიზეზებით, რომელთა აღმოფხვრა სავსებით შესაძლებელია. ეს მიზეზებია—მთელ რიგ საამქროებში მუშახელის დენადობა, შრომის მოუწყობლობა, შრომის დისციპლინის სისუსტე და საერთოდ ისეთი მიზეზები, რომელთა გამოსწორება დიდ სიძნელეს არ წარმოადგენს, თუ ქარხნის კოლექტივს სათანადოდ უხელმძღვანელებენ ადგილობრივი პარტიული, სამეურნეო და პროფესიული ორგანიზაციები.

სავსებით შესაძლებელია ქარხნიდან წასულ მუშათა რიცხვი უმნიშვნელო რაოდენობამდე იქნეს დაყვანილი, თუ საამქროებში კარგად მოაწყობენ შრომას, დაიცავენ ტექნიკური უსაფრთხოების ყველა წესს, მაღალნაყოფიერი მუშაობის პირობებს შეუქმნიან მუშებს.

შრომის ორგანიზაცია თითქმის ყველა საამქროში მოისუსტებს. საქვაბე საამქრო, მაგალითად, დანაგვიანებულია ზედმეტი, ფუჭი მასალებით და ნარჩენებით, ამის გამო მუშებს საშუალება არა აქვთ საორთქლმავლე ქვაბების სარემონტო ადგილი გამონახონ. მუშაობის ცუდ ორგანიზაციას მოწმობს ის ფაქტიც, რომ აპრილში ქარხანა გეგმის შესრულებაში ჩამორჩა მხოლოდ იმის გამო, რომ ვერ შეძლო სარემონტო ვაგონების დროზე ჩამოყვანა თბილისში, თუმცა საამისო საშუალებებიც იყო და საკმარისი დროც.

შრომის დისციპლინის განსამტკიცებლად ქარხანაში სათანადო მუშაობა არ წარმოებს. სატენდერო საამქროში, აგრეთვე სხვა საამქროებშიაც არის შემთხვევები, როდესაც მუშები თვითონ მიდიან მასალების გამოსანახავად, საათობით ცდებიან, იმის ნაცვლად, რომ ეს საჭირო მასალები (ფურცლოვანი ლითონი, შველერები და ა. შ.) ქარხნის მატერიალური მომარაგების განყოფილებამ დროულად მიაწოდოს საამქროებს.

აქტივის კრებამ დასახა ღონისძიებანი ქარხნის მუშაობაში არსებული ყველა ნაკლის სალიკვიდაციოდ, დაავალა საქარხნო პარტიულ, სამეურნეო და პროფკავშირულ ორგანიზაციებს გააძლიერონ მუშათა შორის მასობრივ-პოლიტიკური მუშაობა, მოაგვარონ შრომის ორგანიზაციის საკითხები, დარაზმონ ქარხნის კოლექტივი წლის მეორე ნახევარში მუშაობის გადაჭრით გაუმჯობესებისათვის.

# მაღაროელთა სტახანოვური შრომის შედეგები

**ჭიათურა**. (საკ. კორ.). ლენინის სახელობის მაღაროს კოლექტივი მაღალნაყოფიერად მუშაობს. აქ სერიოზულ ყურადღებას აქცევენ ახალი ტექნიკის დანერგვას, მექანიზმების სრული სიმძლავრით გამოყენებას, წარმოების კულტურის ამაღლებას. მაღარომ ორი კვირით ადრე შეასრულა ნახევარი წლის დავალება.

წარმატებით მუშაობენ ის უბნები, რომლებსაც ამხ. პ. ჩაჩანიძე, ი. ფხალაძე და ა. ჭრელაშვილი ხელმძღვანელობენ.

თავდადებულად შრომობს მარგანეცის გამაუხვებელი ფაბრიკის კოლექტივიც, რომელმაც ექვსი თვის გეგმა 14 ივნისისათვის შეასრულა. მაღალნაყოფიერი მუშაობით გამოირჩევიან ამხ. კ. ჩაჩანიძის, გ. ნეფარიძის, ვ. ჩაჩანიძის, ი. ლომიძის და გ. ჭანკვეტაძის ცვლები. მამაცური შრომის ნიმუშებს ავლენენ სტახანოველი ამწმენდები ვ. ბუღაძე, გ. ცუცქირიძე, ს. მესხი, დ. ავალიანი, ე. ასანიძე; მბურღავები გ. თოდაძე, გ. შეყლაშვილი; მებიგეები გ. ჩაჩანიძე, ბ. კაპანაძე, შ. ჩაჩანიძე და სხვ. მათ 150 და მეტი პროცენტით აქვთ შესრულებული ნახევარი წლის დავალებანი.

ლენინის სახელობის მაღაროს კოლექტივი იბრძვის წლიური გეგმის 7 ნოემბრამდე შესრულებისათვის.

## პარტიული ცხოვრება

# კოლმეურნე კომუნისტები სოციალისტური შეჯიბრების სათავეში

სოფელ ძველი სამტრედიის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის პარტიული ორგანიზაცია 40 კომუნისტს აერთიანებს. იგი დიდი ძალაა კოლმეურნეობაში. აქ არ არსებობს საარტელო მეურნეობის ისეთი დარგი, რომელშიც კომუნისტები აქტიურად არ მონაწილეობდნენ, მათი დამრაზმველი, მაორგანიზებელი როლი არ ჩანდეს. კომუნისტები სამაგალითო შრომით აღაფრთოვანებენ უპარტიო კოლმეურნეებს უხვი მოსავლისათვის ბრძოლაში. პარტიული ორგანიზაცია (მდივანი ამხ. ა. წიქვაძე) სისტემატურ დახმარებას უწევს კოლმეურნეობის გამგეობას შრომის ორგანიზაციისა და ანაზღაურების გაუმჯობესების, ნაკისრ ვალდებულებათა განაღდებისათვის მასების დარაზმვის საქმეში. ამის შედეგად აქ შარშან 265 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე გეგმით გათვალისწინებული 17 ცენტნერის ნაცვლად 22 ცენტნერი სიმინდი მოიწიეს და კოლმეურნეებმა შრომადღეზე 6,2 კილოგრამი მარცვლეული მიიღეს.

მიმდინარე წლის დასაწყისში ძველსამტრედიელმა კოლმეურნეებმა აწონდაწონეს თავიანთი შესაძლებლობანი და იკისრეს 80 ჰექტარი ფართობის ყოველ ჰექტარზე მოიყვანონ 550 ფუთი სიმინდი, დანარჩენი ფართობის თვითეულ ჰექტარზე კი 240 ფუთი, გეგმით გათვალისწინებული 150 ფუთის ნაცვლად, ამასთან მნიშვნელოვანი ოდენობით გადააჭარბონ პირუტყვის სულადობისა და პროდუქტიულობის დაწესებულ გეგმებს.

საქართველოს კ. პ. (ბ) XIV ყრილობის გადაწყვეტილებათა განხორციელების მიზნით კოლმეურნეობაში ახალი ძალით გაჩაღდა სოციალისტური შეჯიბრება. აქ ბრიგადა ბრიგადას, რგოლი რგოლსა და ცალკეული კოლმეურნეები ერთმანეთს ეჯიბრებიან უხვი მოსავლის მიღებისათვის. სოციალისტურ შეჯიბრებას სათავეში კომუნისტები უდგანან.

პირველი ბრიგადის მეორე რგოლმა, რომელსაც კომუნისტი ა. ანდრიაძე ხელმძღვანელობს, 10 ჰექტარ ფართობის ყოველ ჰექტარზე 550 ფუთი სიმინდის მოყვანა იკისრა. ამ მიზნის მისაღწევად რგოლის წევრებმა ნიადაგი ადრე გაზაფხულზე ღრმად მოხნეს, შემდეგ ორჯერ აოშეს და დაფარცხეს, მაღალხარისხოვანი თესლით თესვა აგროტექნიკური წესებით დადგენილ ვადებში ჩაატარეს. თესვის წინ ყოველ ჰექტარზე 35-40 ტონა ნაკელი შეიტანეს. საგულდაგულოდ დამუშავებულ ნიადაგში სიმინდი კარგად აღმოცენდა, რის შემდეგაც რგოლის წევრებმა ზრუნვა ნათესების მოვლაზე გადაიტანეს. სიმინდმა 3-5 ფოთოლი გამოიღო თუ არა, პირველად გათოხნეს, 12-15 დღის შემდეგ კი მეორედ. ფართობის დატვირთვის მიზნით თვითეულ ჰექტარზე 35-38 ათასი ძირი სიმინდი შეინარჩუნეს. შრომისმოყვარე კოლმეურნეებმა არც მცენარეების დამატებითი გამოკვება დაივიწყეს. წინასწარ საკმაო რაოდენობით მოიმარაგეს კასრები, ვედროები, ნაკელი და ამას წინათ ყანებში წუნწუხიც შეიტანეს. ა. ანდრიაძის რგოლის წევრების ყანები ახლა მნახველის გულსახარებს.

— ჩემი რგოლის წევრები ყოველდღიურად თავს დასტრიალებენ სიმინდის ყანებს. მცენარეებს ვეგეტაციის პერიოდში დამატებით 2-3-ჯერ გამოვკვებავთ, რაც მნიშვნელოვნად გაადიდებს მოსავალს. ნაკისრ ვალდებულებას უეჭველად გავანაღდებთ, — განაცხადა მერგოლურმა კომუნისტმა ა. ანდრიაძემ.

კომუნისტ ა. ანდრიაძის რგოლის წევრები უხვი მოსავლის მიღებისათვის სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩაბმული არიან ს. ქაჯაიას რგოლის წევრებთან.

ნაკისრ ვალდებულებათა განაღდებისათვის ენერგიის დაუზოგავად შრომობენ აგრეთვე მესამე ბრიგადის მესამე რგოლის და მეხუთე ბრიგადის პირველი რგოლის წევრები, რომლებსაც კომუნისტები ს. გელეიშვილი და ა. ტალახაძე ხელმძღვანელობენ. ამ რგოლების წევრებმა თავიანთი ყანები უკვე ორჯერ გათოხნეს.

უხვი მოსავლისათვის გაჩაღებულმა სოციალისტურმა შეჯიბრებამ კოლმეურნეობაში მასობრივი ხასიათი მიიღო. ამ კეთილშობილურ გზაზე კომუნისტებს მხარდამხარ მიჰყვებიან და გულმოდგინედ შრომობენ არაპარტიულების ე. უნგიაძის, ს. ქაჯაიას, კ. ნიკურაძის, გ. ტაბიძისა და ვ. ალფაიძის რგოლების წევრები.

ამას წინათ აქ პარტიული ორგანიზაციის კრებაზე მოისმინეს კოლმეურნეობის გამგეობის თავმჯდომარის ამხ. შ. ჯანელიძის მოხსენება ნაკისრ ვალდებულებათა შესრულების მიმდინარეობის შესახებ. ეს იყო კოლმეურნეობაში უხვი მოსავლისათვის ბრძოლის პირველ ეტაპზე სოციალისტური შეჯიბრების შედეგების შეჯამება. პირველმა შედეგებმა ნათელყო, რომ საგაზაფხულო ხვნა-თესვა მაღალხარისხოვნად ჩატარდა არა მარტო უხვმოსავლიან ნაკვეთებზე, არამედ მთელ სახნავ-სათეს ფართობზე — 265 ჰექტარზე, რის შედეგადაც სიმინდი კარგად აღმოცენდა. ახლა მასობრივად მიმდინარეობს სიმინდის თოხნა.

პარტიულმა ორგანიზაციამ კონკრეტული ღონისძიებანი დასახა სიმინდის ყანების სანიმუშოდ მოვლის მიზნით სოციალისტური შეჯიბრების კიდევ უფრო გაძლიერებისთვის. კომუნისტები მისაბაძ მაგალითს იძლევიან ნაკისრ ვალდებულებათა შესრულების საქმეში.

**ვ. კოპალეიშვილი**

„კომუნისტის“ საკუთარი კორესპონდენტი

# ვ. ი. ლენინის ლექცია სახელმწიფოს შესახებ

30 წლის წინათ, 1919 წლის 11 ივლისს, მოსკოვში, საბჭოთა მუშაკების ცენტრალურ კლუბში (შემდეგში სვერდლოვის სახელობის სრულიად საკავშირო კომუნისტური უნივერსიტეტი) ჩვენი პარტიისა და მსოფლიო პროლეტარიატის ბელადმა დიდმა ლენინმა წაიკითხა ლექცია სახელმწიფოს შესახებ. ეს იყო ლენინის მიერ სახელმწიფოს შესახებ წაკითხული პირველი მეცნიერულ-პოპულარული ლექცია. ლენინს განზრახვა ჰქონდა წაეკითხა შემდეგი ლექციებიც. ლენინმა მართლაც წაიკითხა მეორე ლექცია, მაგრამ, სამწუხაროდ, მისი სტენოგრამა არ შენახულა.

ლენინის „ლექცია სახელმწიფოს შესახებ“ პირველად გამოქვეყნდა 1929 წლის 18 იანვარს გაზეთ „პრავდაში“.

შემთხვევითი არ იყო, რომ მარქსიზმის კლასიკოსები თავიდანვე განსაკუთრებული ყურადღებით ამუშავებენ სახელმწიფოს საკითხს. სახელმწიფოს საკითხი, „ძირითადი და მთავარი საკითხია მთელი პოლიტიკისა“, — ამბობდა ლენინი.

განსაკუთრებული პრინციპული მნიშვნელობა მოიპოვა სახელმწიფოს ცნების სწორად ახსნის, სწორად გაგების საკითხმა დიდი ოქტომბრის შემდეგ. ახლა, როცა „რევოლუციამ ზოგიერთ ქვეყანაში გაიმარჯვა, — ამბობდა ლენინი, — როცა განსაკუთრებით გამწვავდა ბრძოლა მსოფლიო კაპიტალთან,—სახელმწიფოს საკითხს ყველაზე დიდი მნიშვნელობა მიენიჭა, იგი, შეიძლება ითქვას, თანამედროვე ხანის ყველაზე უფრო მტკივნეულ საკითხად, ყველა პოლიტიკური საკითხისა და პოლიტიკურ დავის ფოკუსად გადაიქცა“. (თხზ. ტ. XXIV, გვ. 373-374).

კაპიტალისტური ქვეყნების მშრომელთათვის სახელმწიფოს საკითხის სწორად დაყენებას უდიდესი მნიშვნელობა აქვს. მათ უნდა იცოდნენ, თუ როგორი უნდა იყოს მათი დამოკიდებულება ბურჟუაზიული სახელმწიფოსადმი, ერკვეოდნენ, თუ რას წარმოადგენს ბურჟუაზიული სახელმწიფო. არის თუ არა იგი მართლაც ხალხის ნებისყოფის გამომხატველი, საზოგადოებრივი ხელშეკრულების ნაყოფი, ღვთაებრივი, ზებუნებრივი ძალა, ყველა კლასების ინტერესების დამცველი, კლასთა შემრიგებელი ან მათი თანამშრომლობის მარადიული ორგანო, როგორც ამას ბურჟუაზიული იდეოლოგები, კაპიტალიზმის აპოლოგეტები ამტკიცებენ, თუ იგი არის საზოგადოების მცირე ნაწილის, საზოგადოების დიდ უმრავლესობაზე ექსპლოატატორთა ბატონობის ორგანო, ერთი გაბატონებული კლასის, ანუ ეკონომიურად ძლიერი კლასის მმართველობის აპარატი ეკონომიურად სუსტი კლასის მიმართ. როცა ეს საკითხი ნათელია, პროლეტარიატისათვის გარკვევით დგება ბურჟუაზიული სახელმწიფოს დამხობის ამოცანა. შემდეგ, მარქსიზმ-ლენინიზმი ასწავლის პროლეტარიატს, რომ ბურჟუაზიული სახელმწიფოს მოსპობის შემდეგ მოისპობა არა ყოველგვარი სახელმწიფო საერთოდ, როგორც ამას აღიარებენ ანარქისტები, არამედ გამარჯვებულ პროლეტარიატს დასჭირდება ერთგვარი გარდამავალი ხანის გავლა კაპიტალიზმსა და კომუნიზმს შორის, რომელსაც „შეესაბამება აგრეთვე პოლიტიკური გარდამავალი პერიოდი, რომლის დროს სახელმწიფო არ შეიძლება სხვა რამ იყოს, თუ არ **პროლეტარიატის რევოლუციური დიქტატურა**“ (მარქსი).

ეს არის ახალი ტიპის სახელმწიფო—საბჭოთა სოციალისტური სახელმწიფო.

საკითხი სახელმწიფოს შესახებ კლასობრივი, პრინციპული მნიშვნელობის საკითხია. ბურჟუაზია თავისი იდეოლოგების მეშვეობით ცდილობს, რაც შეიძლება მეტი აბნეულობა შეიტანოს ამ საკითხში, მიჩქმალოს სახელმწიფოს კლასობრივი ბუნება და დახატოს იგი, როგორც ყველას ინტერესების გამომხატველი და ამით მოადუნოს პროლეტარიატი, მისი კლასობრივი ბრძოლა, გაახანგრძლივოს თავისი ბატონობა. სახელმწიფოს შესახებ საკითხის სწორად გადაჭრა აძლიერებს ბურჟუაზიულ ქვეყნებში მშრომელთა რევოლუციურ მოძრაობას, ხოლო პირიქით, მისი არასწორი გადაჭრა ხელს უშლის ამ უკანასკნელს.

მარქსმა და ენგელსმა პირველებმა შეიტანეს სრული გარკვეულობა სახელმწიფოს ახსნის საქმეში. მარქსისა და ენგელსის სიკვდილის შემდეგ მათი შეხედულებანი დაამახინჯეს სხვადასხვა ჯურის რევიზიონისტებმა II ინტერნაციონალის ბანაკიდან: ისინი აცხადებდნენ, რომ ბურჟუაზიულმა სახელმწიფომ კლასობრივი ხასიათი დაკარგა, რომ იგი ზეკლასობრივი აპარატია, რომ მისი მეშვეობით შეიძლება კაპიტალიზმის მოწესრიგება და გადასვლა სოციალიზმში ყოველგვარი კლასობრივი ბრძოლის გაუწევლად და პროლეტარიატის დიქტატურის დამყარების გარეშე.

ლენინმა და სტალინმა დაიცვეს და ახალ პირობებთან დაკავშირებით განავითარეს მარქსიზმის მოძღვრება, მათ შორის მოძღვრება სახელმწიფოს შესახებ. განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ვ. ი. ლენინის ნაშრომს „სახელმწიფო და რევოლუციას“, რომელიც 1917 წლის აგვისტო-სექტემბერში დაიწერა. ამ ნაშრომში ლენინმა აღადგინა რევიზიონისტების მიერ დამახინჯებული დებულებანი და წინ წასწია, ახალ, მაღალ საფეხურზე აიყვანა მარქსიზმი. ვ. ი. ლენინის შემდეგ სახელმწიფოს თეორიის გენიალური დამუშავება მოგვცა ამხანაგმა სტალინმა.

მანამდე, ვიდრე ვიმყოფებით კაპიტალისტური ქვეყნების გარემოცვაში, ჩვენ გვესაჭიროება ძლიერი სახელმწიფო, საბჭოთა არმიის, დაზვერვის ორგანოებისა და დამსჯელი აპარატის შემდგომი გაძლიერება. ჩვენი საბოლოო მიზანია მსოფლიო კომუნიზმის გამარჯვება, უსახელმწიფო საზოგადოების აგება, მაგრამ სწორედ ამ მიზნის მიღწევისათვის საჭიროა გავაძლიეროთ ჩვენი სახელმწიფო. დიდი სტალინი ჯერ კიდევ პარტიის XVI ყრილობაზე მიგვითითებდა, რომ „ჩვენ სახელმწიფოს კვდომის მომხრენი ვართ და ამავე დროს მხარს ვუჭერთ იმას, რომ გაძლიერდეს პროლეტარიატის დიქტატურა, რომელიც წარმოადგენს ყველაზე უფრო მძლავრ და ყველაზე უფრო ღონიერ ძალაუფლებას დღემდე არსებულ ყველა სახელმწიფო ძალაუფლებასთან შედარებით“. („ლენინიზმის საკითხები“. მე-10 გამოც. გვ. 506).

ამხანაგი სტალინი ამავე საკითხს უფრო ფართოდ ეხება პარტიის XVIII ყრილობაზე. „ზოგჯერ კითხულობენ:— გვასწავლის ამხანაგი სტალინი, — „ჩვენში ექსპლოატატორული კლასები მოსპობილია, ჩვენს ქვეყანაში მტრული კლასები უკვე აღარ არის, დასათრგუნავი აღარავინაა, მაშასადამე საჭირო აღარ არის სახელმწიფო, იგი უნდა მოკვდეს“. ამ კითხვების ავტორებს, ამბობს ამხანაგი სტალინი, „...ვერ გაუგიათ თანამედროვე საერთაშორისო ვითარება, მხედველობიდან გამორჩენიათ კაპიტალისტური გარემოცვის ფაქტი და მისგან გამომდინარე საშიშროებანი სოციალიზმის ქვეყნისათვის“ („ლენინიზმის საკითხები“. მე-11 გამოც. გვ. 743-744).

ჩვენ სახელმწიფო გვესაჭიროება არა მარტო ამჟამად, სოციალიზმის დროს, სოციალიზმიდან კომუნიზმში თანდათანობით გადასვლის პერიოდში, არამედ მაშინაც, როდესაც ავაგებთ სრულ კომუნისტურ საზოგადოებას, თუ კი ჩვენ ისევე ვიქნებით კაპიტალისტური ქვეყნებით გარშემორტყმულნი. „დარჩება თუ არა ჩვენში სახელმწიფო კომუნიზმის პერიოდშიც?“ აყენებდა კითხვას ამხანაგი სტალინი პარტიის XVIII ყრილობაზე, და უპასუხებს „დიახ, დარჩება, თუ ლიკვიდირებული არ იქნება კაპიტალისტური გარემოცვა, თუ მოსპობილი არ იქნება გარედან სამხედრო თავდასხმათა საფრთხე, ამასთან გასაგებია, რომ ჩვენი სახელმწიფოს ფორმები კვლავ იქნება შეცვლილი საშინაო და საგარეო ვითარების ცვლილების შესაბამისად.

არა, არ დარჩება და მოკვდება, თუ კაპიტალისტური გარემოცვა ლიკვიდირებული იქნება, თუ იგი სოციალისტური გარემოცვით იქნება შეცვლილი“. (იქვე, გვ. 751).

ამით ამხანაგმა სტალინმა მარქს-ენგელს-ლენინის შეხედულებანი სახელმწიფოს საკითხში განვითარების უმაღლეს საფეხურზე აიყვანა, ძვირფასი ფურცლები შემატა მარქსიზმის საგანძურს.

* * *

მარქსმა და ენგელსმა, ხოლო მათ შემდეგ ლენინმა და სტალინმა სრული გარკვეულობა შეიტანეს სახელმწიფოს საკითხში. სახელმწიფო ჩვენთვის არ წარმოადგენს არც რელიგიურ-მისტიკურ ცნებას, არც ზეკლასობრივ ან კლასთა თანამშრომლობის მარადიულ ორგანოს. სახელმწიფოს ცნება მარქსიზმის კლასიკოსების მიერ ახსნილია ისტორიის მატერიალისტური გაგების საფუძველზე.

უწინარეს ყოვლისა სახელმწიფო არის ადამიანთა საზოგადოებიდან გამოყოფილი მმართველობის აპარატი, — ამბობს ლექციაში სახელმწიფოს შესახებ ლენინი. „როცა წარმოიშვა ადამიანთა ასეთი განსაკუთრებული ჯგუფი, რომლის საქმესაც მხოლოდ და მხოლოდ მმართველობა შეადგენს და რომელსაც ამ მმართველობის განსახორციელებლად ესაჭიროება იძულების, სხვისი ნების ძალადობისათვის დამორჩილების განსაკუთრებული აპარატი — საპყრობილეები, ადამიანთა განსაკუთრებული რაზმები, ჯარი და სხვ., — მაშინ ჩნდება სახელმწიფო“. „სახელმწიფო არის მანქანა, რომლის საშუალებითაც ერთი კლასი ინარჩუნებს ბატონობას მეორე კლასზე“. (ლენინი. თხზულებანი. ტ. XXIV. გვ. 366, 369). ექსპლოატატორულ საზოგადოებაში სახელმწიფო უმცირესობის ხელთ მყოფი აპარატია უდიდესი უმრავლესობის დასათრგუნავად.

სახელმწიფო ისტორიული კატეგორიაა — არ იყო, გაჩნდა და აღარ იქნება. მარადიულ კატეგორიად მისი აღიარება ექსპლოატატორთა ამოცანას შეადგენს.

დიდი ლენინი თავის ლექციაში ახასიათებს სახელმწიფოს ტიპებს — მონათმფლობელურ, ფეოდალურ, ბურჟუაზიულ და სოციალისტურ სახელმწიფოებს. მონათმფლობელური, ფეოდალური და ბურჟუაზიული სახელმწიფოების, ე. ი. ექსპლოატატორული ტიპის სახელმწიფოებისაგან განსხვავებით, საბჭოთა სახელმწიფო არის არა უმცირესობის ნებისყოფის დაცვის აპარატი, არამედ მთელი მშრომელი საზოგადოების — მუშების, გლეხების, ინტელიგენციისა და ყველა სხვა სახის მშრომელთა ნებისყოფის გამომხატველი. საბჭოთა სახელმწიფოში განხორციელებულია სოციალისტური დემოკრატიზმი, დაცულია მოქალაქეთა ყველა დემოკრატიული უფლება, მთელი ქვეყნის ბატონ-პატრონი ხალხია. საბჭოთა სახელმწიფოს ეს უპირატესობანი წითელი ზოლივით არის გავლებული ლენინის დასახელებულ ლექციაში.

* * *

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ საბჭოთა სახელმწიფოს გვერდში ამოუდგნენ ახალი დემოკრატიული ქვეყნები. ამ სახელმწიფოთა მმართველობის ფორმა განსხვავებულია ჩვენი ქვეყნის მმართველობის სახელმწიფოებრივი ფორმისაგან, მაგრამ არსებითად ეს ქვეყნები ახორციელებენ პროლეტარიატის დიქტატურის ფუნქციას. მათს სამოქმედო იდეოლოგიას შეადგენს მარქს-ენგელს-ლენინ-სტალინის მოძღვრება, მათს ამოცანას შეადგენს სოციალიზმის აგება. დიდი ლენინი გვასწავლიდა, რომ ბურჟუაზიული სახელმწიფოს მოსპობის შემდეგ შეიძლება წარმოიშვას მმართველობის მრავალი ფორმა, მაგრამ არსებითად იგი იქნება პროლეტარიატის დიქტატურა. როგორც ლენინი ამბობს „კაპიტალიზმიდან კომუნიზმში გადასვლა, ცხადია, ათასგვარ და ათასნაირ პოლიტიკურ ფორმას წარმოშობს, მაგრამ მათი არსი აუცილებლად მხოლოდ ერთი იქნება: **პროლეტარიატის დიქტატურა**“. (იხ. თხზულებათა კრებული. ტ. XXI. გვ. 393). ახალი დემოკრატიული ქვეყნების წარმოშობა ლენინის ამ გენიალური აზრის ჭეშმარიტი დასაბუთებაა.

სახელმწიფოს ცნების სწორ გაგებას განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ენიჭება ამჟამად, როცა მსოფლიო გაყოფილია ორ ბანაკად — დემოკრატიის ბანაკად—საბჭოთა კავშირის ხელმძღვანელობით და რეაქციის ბანაკად—ამერიკისა და ინგლისის ხელმძღვანელობით, როცა მსოფლიოს მშრომელთა სულ უფრო ფართო მასები დგებიან მარქს-ენგელს-ლენინ-სტალინის დიადი დროშის ქვეშ.

ლენინის ლექციას სახელმწიფოს შესახებ კვლავ უდიდესი თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს მასების აღზრდის საქმეში, რეაქციისა და იმპერიალიზმის წინააღმდეგ მშვიდობისა და დემოკრატიის ძალების ბრძოლაში.

**დოცენტი ბ. ერემოვი**

# რატომ აჭიანურებენ ჭარხლის ნათესების მორწყვას?

შაქრის ჭარხალი ქარელის რაიონის ყველა კოლმეურნეობაში კარგად არის აღმოცენებული და განვითარებული. ცხოველებით მიმდინარეობს პლანტაციების მწკრივთაშორის გაფხვიერება და მცენარეთა დამატებითი გამოკვება. ზოგან მეორე გაფხვიერება და გამოკვებაც დაამთავრეს. პლანტაციებს კარგად უვლიან ქარელის სტალინის სახელობის კოლმეურნეობაში. აქ, სხვა სამუშაოებთან ერთად, განსაკუთრებული ყურადღება ექცევა მორწყვას. ყველაზე უკეთაა მოვლილი საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატის ვასილ გოხელაშვილის რგოლის ჭარხლის პლანტაცია, სადაც 3 ჰექტარი ფართობის ყოველ ჰექტარზე 1.000 ცენტნერი შაქრის ჭარხლისათვის იბრძვიან. პლანტაციებს კარგად უვლიან აგრეთვე ქარელის ბერიას სახელობის და სოფლების კეხიჯვრის, სანებლის, პირველი სოხისის და სხვა კოლმეურნეობებში. დიდი მუშაობა ტარდება რაიონში არსებული სარწყავი არხების გაწმენდისა და ახალი არხების გაყვანისათვის.

მაგრამ ზოგ კოლმეურნეობაში ჯეროვანი ყურადღება არ ექცევა პლანტაციების მოვლა-დამუშავებას. სოფელ პირველი წვერის ჟდანოვის სახელობის კოლმეურნეობის ვ. სამნიაშვილის ბრიგადის ჭარხლის ფართობში მეორმად გაფხვიერება უხარისხოდ ჩაატარეს, დამატებითი გამოკვება კი სულ დაივიწყეს. აქ თავი არ შეიწუხეს მავნებლებთან ბრძოლისათვის. ფართობში ცარიელი გობებია დადგმული, ბადაგი კი საწყობში აქვთ შენახული. ნათესები მთლიანად დასარევლიანებულია. ამ კოლმეურნეობაში სხვა ნაკლიც არის. მართალია, წელს 3 კილომეტრის სიგრძის არხი გაიყვანეს, რითაც შაქრის ჭარხლის პლანტაცია უნდა მოერწყოთ, მაგრამ მეზობელი სოფლის — დირბის მცხოვრებთა მიერ საკარმიდამო ნაკვეთების რწყვის გამო წყლის მიღება ვერ მოუხერხებიათ. ასეთივე მდგომარეობაა ბრეთის სტალინის სახელობის კოლმეურნეობაში. როგორც ჩანს, ეს გარემოება ნაკლებად აფიქრებს ქარელის რაიონის წყალთა მეურნეობის განყოფილების უფროსს ამხ. დ. წაქაძეს.

სარწყავ სისტემას კარგად არ იყენებენ ქვემოშაქშაქეთის კოლმეურნეობაშიც, ხოლო ქვენატკოცის ჩარკვიანის სახელობის კოლმეურნეობის (თავმჯდომარე თურმანიძე) ჭარხლის პლანტაციას მორეული აქვს ბალახი და მის გათოხნას აჭიანურებენ.

რაიონის მოწინავე მეჭარხლეებმა ვალდებულება იკისრეს მთელი ნათესი ფართობის — 1.500 ჰექტარის თვითეულ ჰექტარზე 230 ცენტნერი შაქრის ჭარხალი მოიყვანონ. ამ დაპირების განაღდებისათვის ბრძოლის გადამწყვეტი პერიოდი უკვე დადგა. მთავარია დროზე და კარგად შევასრულოთ ყველა სამუშაო. ეს კარგად უნდა გაითვალისწინონ რაიონის ხელმძღვანელმა ორგანოებმა.

**ვ. გურგენიძე**
„კომუნისტის" საკუთარი კორესპონდენტი

## დამთავრდა ერწოს ჭაობების ამოშრობა

თიანეთი. (საკ. კორ.). მნიშვნელოვანი ფართობი ეკავათ სოფელ ერწოს მახლობლად მდებარე ჭაობებს. 1.500 კოლმეურნე ერთი თვის განმავლობაში მუშაობდა არხების გასაყვანად, რომლებიც ჭაობს მდინარე აძძთან აერთებს. მოკლე დროში კოლმეურნეებმა 20.000 კუბური მეტრი მიწის სამუშაოები შეასრულეს და არხების გაყვანა დაამთავრეს.

იმ ადგილებზე, სადაც ჭაობი იყო, მომავალ წელს ხორბლეული კულტურები დაითესება.

## საუკეთესო საბავშვო მხატვრულ ნაწარმოებზე გამოცხადებული კონკურსის მეორე წლის შედეგები

ქართული საბავშვო ლიტერატურის შემდგომი განვითარების მიზნით საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსა და საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის მიერ საუკეთესო საბავშვო მხატვრულ ნაწარმოებზე გამოცხადებულ სამწლიან (1948-1950 წ. წ.) კონკურსში წელს წარმოდგენილი იყო სხვადასხვა ჟანრის 98 ნაწარმოები. კონკურსის ჟიურიმ, მიღებული წესის თანახმად, პირველადი რეცენზიების საფუძველზე განსახილველად დატოვა 19 ნაწარმოები. მათგან პრემიების მისანიჭებლად ფარული კენჭისყრისათვის შერჩეულ იქნა 6 ნაწარმოები, ხოლო 13 ნაწარმოებს რეკომენდაცია მიეცა დასაბეჭდად, დანარჩენი დაწუნებულ იქნა.

ფარული კენჭისყრის შედეგად პირველი პრემია არც ერთ ნაწარმოებს არ მიენიჭა. მეორე პრემია, 15 ათასი მანეთის რაოდენობით მიეკუთვნა ორ ნაწარმოებს: საბავშვო მოთხრობა „ხორბალს", რომლის ავტორები აღმოჩნდნენ მწერლები — გ. შატბერაშვილი და რ. მარგიანი; და საბავშვო პიესას „ცერცეტას", (ავტორი ... გოგიაშვილი).

მესამე პრემია 10 ათასი მანეთის რაოდენობით მიეკუთვნა ოთხ ნაწარმოებს: საბავშვო პოემა „ჩვენი სკოლის ყმაწვილები" (ავტორი პოეტი გ. კაჭახიძე), მოთხრობა — „გენერალი ლესელიძე და მარუხელი ბიჭი" (ავტორი ახალგაზრდა მწერალი მ. ლებანიძე), მოთხრობა „შეხვედრა" (ავტორი გ. ჩიქვაძე) და საბავშვო მოთხრობა — „ხომის მთებში" (ავტორი ქ. კორაშვილი).

ჟიურის მიერ დასაბეჭდად რეკომენდებულია: „რუსთავის განთიადი" დ. ჭუმსიშვილის და ა. სულაკაურისა, „წითელი ოქრო" ა. ბასილაიასი, „განაჩენი" ვ. ნაჭყებიასი, „დიანას ამხანაგი" კ. რუსიძისა, „განსაცდელი" მ. ქელივიძისა, „კეთილი ადამიანები" რ. ჯაფარიძისა, „მეგობრები" კ. გოგიაშვილისა, „ძვირფასი სახსოვარი" ა. ჩხენკელისა, „ნეტავ შენს დედას" მ. ადამიასი, „მასწავლებელი" მ. ლებანიძისა, „ფიცი" ი. ბაქანელისა „ნანატრი საჩუქარი" და „თაიგული" გ. ფირცხალავასი.

ჟიურის მიერ პრემირებულ და დასაბეჭდად მოწონებულ ნაწარმოებებს გამოსცემს საბლიტგამი.

საუკეთესო ქართულ საბავშვო მხატვრულ ნაწარმოებზე გამოცხადებული კონკურსის მეორე წლის შედეგები მოწმობენ საბავშვო მხატვრული ლიტერატურის ახალ აღმავლობას.

კონკურსის პირობების თანახმად, ჟიურიმ უკვე დაიწყო ახალ საკონკურსო ნაწარმოებთა მიღება.

# ადგილობრივი გაზეთების ფურცლებზე

## კომკავშირელთა თაოსნობა

სოფელ ფანაგის (ქვემო სვანეთის რაიონი) საკოლმეურნეო პირველადი კომკავშირული ორგანიზაცია დიდ დახმარებას უწევს კოლმეურნეობას სასოფლო-სამეურნეო სამუშაოების დროულად და მაღალხარისხოვნად შესრულებაში. ამ პირველადი კომკავშირული ორგანიზაციის შესახებ რაიონული გაზეთი „საბჭოთა სვანეთი" წერს:

„მიმდინარე წლის 25 მაისს კომკავშირულმა ორგანიზაციამ დაამუშავა დღემდე გამოუყენებელი ყამირი ნიადაგი და კოლმეურნეობის ფართობებს შემატა 5.600 კვადრატული მეტრი სახნავი მიწა, რომელზეც კომკავშირელებმა დათესეს კარტოფილი. ახალგაზრდებმა ივალდებულეს ახალ ათვისებულ ნაკვეთზე მიიღონ კარტოფილის უხვი მოსავალი. ყამირი ნიადაგის ათვისება-დამუშავებაში აქტიური მონაწილეობა მიიღეს კომკავშირელებმა ნ. შავრეშიანმა, ვ. ზურაბიანმა, თ. პირველმა და სხვ".

## მშობლიურ მხარეში სამოგზაუროდ

ამ ზაფხულს ქალაქ ბათუმის, ქობულეთის, ქედის, ხულოსა და ბათუმის რაიონებიდან ორმოცდაათამდე პიონერული რაზმი აწყობს მშობლიურ მხარეში მოგზაურობას. მოგზაურობაში მონაწილეობას მიიღებს ათასზე მეტი პიონერ-მოსწავლე. პიონერები შეხვედრებს მოაწყობენ სოფლის მეურნეობის და მრეწველობის სხვადასხვა დარგის სპეციალისტებთან, სამამულო ომის მონაწილეებსა და სოციალისტური შრომის გმირებთან, გაეცნობიან სამშობლოს ბუნებრივ რესურსებს. ამის შესახებ „საბჭოთა აჭარა" წერს:

„აჭარის რაიონების პიონერ-მოსწავლეთა მშობლიურ მხარეში მოგზაურობის გეგმებში გათვალისწინებულია ძველი ისტორიული ადგილების—ციხეთა ნანგრევების, უძველესი ქართული კულტურის ნიმუშებისა და ისტორიული ბრძოლების ადგილების დათვალიერება.

ნორჩი ისტორიკოსები ნახავენ ციხე-სიმაგრეების ნანგრევებს ჩოხატაურისა და ხულოს რაიონებში, ინახულებენ ბათუმის ისტორიულ ადგილებს, სადაც რევოლუციურ მუშაობას ეწეოდა ამხანაგი სტალინი, მოაწყობენ ექსკურსიას ზუგდიდში და ქალაქ გორში.

ნორჩი ლიტერატორები მშობლიურ მხარეში მოგზაურობის დროს გზადაგზა შეაგროვებენ ქართული ფოლკლორის ნიმუშებს. ნორჩი ნატურალისტები შეკრებენ სამკურნალო მცენარეებს, შეადგენენ მცენარეებისა და ცხოველების კოლექციებს.

მშობლიურ მხარეში მოგზაურობის შემდეგ მრავალფეროვანი და საინტერესო შთაბეჭდილებებით გამდიდრებული, ფიზიკურად გაკაჟებული მოსწავლეები დაუბრუნდებიან სკოლებს და ხალისით განაგრძობენ სწავლას".

## აგიტმხატვრული ბრიგადა სოფლად

ხაშური. (საკ. კორ.). მოსავლის აღების და სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების დამზადების დაწყებასთან დაკავშირებით, რაიონის კულტურის სახლთან შეიქმნა აგიტმხატვრული ბრიგადა.

ბრიგადამ მოსავლის აღებისათვის მზადების დღეებში ტეზრისა და ვაყის საბჭოში შემავალ კოლმეურნეობებში, გამართა საღამო-წარმოდგენა. იქვე წაკითხულ იქნა ლექციები მიჩურინული ბიოლოგიური მეცნიერების შესახებ.

# ერთი დისერტაციის შესახებ

გაზეთ „კომუნისტის" 11 მაისის სარედაქციო წერილში „ლიტერატურის ისტორიის გაყალბებისა და ანტიპატრიოტიზმის წინააღმდეგ" გაკრიტიკებულია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო საბჭოს მუშაობა, რომელიც ზოგჯერ სათანადო სიფრთხილით არ ეპყრობა სამეცნიერო ხარისხის მინიჭების საკითხს. ამ წერილში ჩვენ გვინდა განვიხილოთ ერთი „მეცნიერული შრომა", რომლისთვისაც შრომის ავტორს — მერი იანქოშვილს გასულ წელს მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხი მიენიჭა.

შრომის სახელწოდება ასეთია: „ჰამლეტის" ქართული თარგმანები". უკვე სახელწოდებიდან ჩანს, რომ თემა თავისთავად არ არის სამეცნიერო ხასიათისა. ეს არის სტუდენტის რიგითი რეფერატის ან, უკეთეს შემთხვევაში, სადიპლომო შრომის თემა. ბოლოს და ბოლოს, გარჩეულ უნდა იქნას მხოლოდ თარგმანის ადეკვატობისა და მხატვრულობის საკითხი. ამ შემთხვევაში გარჩეულ უნდა იქნას, როგორ თარგმნა „ჰამლეტი" ამა თუ იმ პირმა, ვისი თარგმანი უფრო მაღლა დგას და სხვ. სხვა საქმეა, თუ დასმული და გადაჭრილი იქნა საკითხები საერთოდ თარგმნის პრინციპების შესახებ. ასეთი პრეტენზია აღნიშნულ შრომას სახელწოდების მიხედვითაც არა აქვს, და ნამდვილადაც მასში მხოლოდ ზერელედ და სრულიად უსისტემოდ არის მოცემული რამდენიმე აზრის მეტად მშრალი კომპილაცია ჩუკოვსკის, მოროზოვისა და ზოგიერთ უცხოელ მკვლევართა წიგნებიდან.

განსაკუთრებით აღმაშფოთებელია ის, რომ მ. იანქოშვილი ნებას აძლევს თავს თვითნებურად მოექცეს ივანე მაჩაბლის მიერ შესრულებულ „ჰამლეტის" თარგმანს და დამახინჯებულად წარმოადგინოს დიდი ქართველი მოღვაწის დამსახურება ქართული კულტურის წინაშე. მაჩაბლის თარგმნილ „ჰამლეტის" გარჩევას შრომის თითქმის სამი მეოთხედი უჭირავს. შრომაში ჯერ დაწვრილებით არის წარმოდგენილი გიორგი ლეონიძის მიერ ერთხელ უკვე მოთხრობილი მაჩაბლის ცხოვრება და საქართველოს პოლიტიკურ-საზოგადოებრივი ცხოვრება მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევარში. ამის შემდეგ ავტორი მოკლე შესავალში წერს: „...მთარგმნელს დიდი სიფრთხილე და დაკვირვება მართებს, რათა ეს სახეები ისევე მკაფიოდ და ამბურთვით (?) ამობეჭდოს ქართულად, ისეთივე მძლარი ფერები (?) შეასხას მათ, როგორც ისინი დედანში მეტყველებენ".

ამ „ბრძნული" სიტყვების შემდეგ „მკვლევარი" იწყებს ივანე მაჩაბლის მიერ თარგმნილი „ჰამლეტის" „გარჩევას".

„შრომის" ავტორს თუ ვერწმუნეთ, ივანე მაჩაბელს დაშვებული აქვს უამრავი შეცდომა. ასე, მაგალითად, მას ჰქონია 44 ადგილას აზრი დამახინჯებულად გადმოცემული, 46 ადგილას არ არის გადმოცემული მხატვრული სახე, 78 ადგილას თარგმანი (ე. ი. თარგმნილი სტრიქონი) სწორად არ არის გადმოტანილი, 37 ადგილას თარგმანი დედანს არ შეესატყვისება, 36 ადგილას დაკარგულია მხატვრული შედარება, 27 ადგილას გადმოცემული არ არის „აბსტრაქტული ცნების გაფიზიკურება" და ასე დაუსრულებლად.

გამოდის, რომ მაჩაბელს დაშვებული ჰქონია სამასამდე უხეში შეცდომა. ეს ერთ ნაწარმოებში — მხოლოდ „ჰამლეტში"!

მაშ რატომღა მიგვაჩნია ივანე მაჩაბლის თარგმანები უბადლოდ, რატომ ითვლება იგი საუკეთესო მთარგმნელად და რატომ ვაყენებთ მის თარგმანებს მსოფლიოში განთქმულ შექსპირის თითქმის ყველა თარგმანზე წინ?

საბედნიეროდ, ასე როდია საქმე. „შრომის" ავტორი ელემენტარულ ენობრივ და ლიტერატურულ საკითხებში ვერ ერკვევა და ისეთ სტრიქონებს უწუნებს მაჩაბელს, რომლებიც თარგმნის ბრწყინვალე ნიმუშებს წარმოადგენენ.

„მკვლევარი" „არჩევს", მაგალითად, ერთ-ერთ სტრიქონს:

„აჩრდილი მიმართავს ჰამლეტს: Thy uncle...in the porches of mine ears did pour the leperous distilment".

მაჩაბელი: „—ბიძაშენმა... წყეული საწამლავი ყურს ჩამაწვეთა".

იანქოშვილს მაჩაბლის სიტყვები არ მიაჩნია მძლარი ფერებით შეზავებულად და დაასკვნის: „თარგმანში არ არის გადმოცემული მხატვრული სახე. porch ნიშნავს პარმაღს... უნდა იყოს: ბიძაშენმა ყურების პარმაღებში კეთროვანი ესენცია ჩამაწვეთა".

შემდეგ: მოგვყავს ჰამლეტის ცნობილი სიტყვები. „The time is out of joint; oh, cursed spite!
That ever I was born to set it right".

მაჩაბელი: — „დროთა კავშირი დაირღვა და წყეულმა ბედმა მე რად მარგუნა მისი შეკვრა?"

იანქოშვილის დასკვნა: „თარგმანში არ არის გადმოცემული აბსტრაქტული ცნების გაფიზიკურება. out of joint ნიშნავს კიდურიდან ამოგდებულს. უნდა იყოს: დრო ნაღრძობია, ოჰ წყეულო ბედო, რად დავიბადე მის გასასწორებლად".

აჩრდილის დანახვაზე ჰორაციო წამოიძახებს: „It harrows me with fear and wonder".

მაჩაბელი: „ვკვირობ და თან შიშით ვკანკალებ".

იანქოშვილის დასკვნა: „თარგმანში არ არის გადმოცემული მეტაფორული თქმა. ზმნა to harrow ნიშნავს ფარცხვას. უნდა იყოს: ის (აჩრდილი) შიშითა და განცვიფრებით მფარცხავს".

პოლონიუსი ლაერტს რჩევა-დარიგებას აძლევს: ფულს ნურც გაასესხებ, ნურც ისესხებ „...Borrowing dulls the edge of husbandry".

მაჩაბელი: „...და თუ ისესხებ, შენ საქმეებს აურ-დაურევ".

იანქოშვილის დასკვნა: „თარგმანში არ არის გადმოცემული აბსტრაქტული ცნების გაფიზიკურება: To dull ნიშნავს დაჩლუნგებას, husbandry — საქმიანობას (?). უნდა იყოს: სესხი საქმიანობის წვეთს აჩლუნგებს!"

პოლონიუსი ოფელიას ჰამლეტის შესახებ ეუბნება:

„... with a larger tether may he walk
Than may be given you".

მაჩაბელი: „თავისუფლება კაცს მეტი აქვს, ვიდრემდე ქალსა".

იანქოშვილის დასკვნა: „თარგმანში არ არის გადმოცემული მეტაფორა: tether ნიშნავს საბელს (?), თოკს. უნდა იყოს: მას (ჰამლეტს) უფრო დიდი საბელით (?) შეუძლია იაროს, ვიდრე შენ შეიძლება გქონდეს". რაკი თოკს დასაბმელად ხმარობენ, ჩვენს „მკვლევარს" ჰგონია, საბელი ჰქვიაო და ორჯერ დაბეჯითებით იმეორებს ამ სიტყვას. მართლაც რა „ბრწყინვალე" იქნებოდა ასეთი „მარგალიტებით" შესწორება მაჩაბლის თარგმანებისა. კარგი სანახავი იქნებოდნენ თოკით დაბმული ჰამლეტი და ოფელია სცენაზე! ვინ ედავება იანქოშვილს, რომ teher საბელსა (და არა „საბელს") ნიშნავს, ეს განა მაჩაბელმა არ იცოდა! მაგრამ ნუთუ თვითონ ვერ გრძნობს ამხ. იანქოშვილი, რომ ეს ასე არ შეიძლება ითარგმნოს. ზოგი რამ ძალიან ბუნებრივია ერთი ენისათვის, მაგრამ თარგმნის დროს იგი უნდა შეიცვალოს მეორე ენის თავისებურების მიხედვით.

გილდენსტერნი ჰამლეტს ეუბნება:

„This courtesy is not of the right breed".

მაჩაბელი: „...ეს ზრდილობა მოსატანი არ გახლავთ".

იანქოშვილი აქაც აზრის დამახინჯებას ხედავს და დაასკვნის: „Breed ნიშნავს ჯიშს. უნდა იყოს: ეგ ზრდილობა საჭირო ჯიშისა არ გახლავთ".

მაგრამ ეს „ჯიშიანი ზრდილობა" რაღას ნიშნავს?!

პოლონიუსი ჰამლეტისა და ოფელიას სიყვარულის შესახებ ამბობს: „...Love on the wing..."

მაჩაბელი: „...სიყვარულის აღფრთოვანება..."

იანქოშვილის დასკვნა: „თარგმანში არ არის გადმოცემული სახე (?) უნდა იყოს: (როგორც კი შევნიშნე) ეს აფრენილი სიყვარული..." მაინც საინტერესოა, როგორ ხდება სიყვარულის აფრენა!

შემდეგ: „კლავდიუსი ლაერტს აფრთხილებს, რომ შესაძლებელია მათი განზრახვა გამოაშკარავდეს. ამ აზრის გამოსათქმელად იგი შემდეგ მეტაფორას მიმართავს: „And that our drift look through bad formance..."

მაჩაბელი: „...საიდუმლოს უხერხულობით გავამჟღავნებთ". იანქოშვილის დასკვნით უნდა იყოს: „ჩვენმა განზრახვამ ცუდად შესრულების დროს შეიძლება გამოიჟყიტოს".

ძნელია ყველა იმ „შენიშვნის" გარჩევა, რასაც მ. იანქოშვილი ი. მაჩაბლის თარგმანს უკეთებს. ერთგან მაგალითად [illegible] მაჩაბელს „ოფლიანი სიჩქარით მუშაობენ" უნდა დაეწერაო. [illegible] „უბედურება" ყოფილა [illegible], თუმცა [illegible] „უბედურებათა ზღვა". მაჩაბლის თარგმნილი სტრიქონი: „სიკვდილის დღემდე ისე მიყვარდა, ვით შევფიცე ქორწილის ჟამსა" აგრეთვე უვარგისი გამოთქმა ყოფილა და ასე უნდა გასწორდეს: „სიყვარული ხელიხელ გაყრილი მიჰყვებოდა ფიცს, რომელიც ქორწილის დროს შევფიცე". „სისხლიანი ხმლის" ნაცვლად იანქოშვილის კორექტივით უნდა დაიწეროს „სისხლისაგან დაცლილი ხმალი" და ა. შ.

„მკვლევარი" მოითხოვს თარგმანის გამოფიტვას ყოველგვარი ხალხური, იდიომატური, ძარღვიანი გამოთქმებისაგან.

მარცელუსი კითხულობს: „რად აჩქარებენ მშენებელთო...

„...Whose sore task
Does not divide Sunday from the week".

მაჩაბელი: „(გემთმშენებელთ) ამუშავებენ ისე სიჩქარით, რომ კვირა დღეც არ გააჩნიათ".

იანქოშვილს აქაც აზრის დამახინჯება ეჩვენება. იგი დაასკვნის: „დედანში კვირა, როგორც დასვენების სიმბოლო დაპირისპირებულია სამუშაო დღესთან. უნდა იყოს: ...რომელთაც, მძიმე ჯაფა კვირა დღეს სამუშაო დღისგან არ არჩევინებთ".

ჩვენს „ლინგვისტს" არ ესმის, რომ სწორედ ეს აზრია მოხდენილად და ლაკონიურად გამოხატული იმ ხალხურ გამოთქმაში, რომელიც მაჩაბელმა გამოიყენა: „რომ კვირა დღეც არ გააჩნიათ". ეს განა იმას არ ნიშნავს, რომ კვირა დღესაც, როგორც დანარჩენ სამუშაო დღეებს, არ ისვენებენ?

მაჩაბლის თარგმნილი სტრიქონი: „ხელს ნუ გაისვრი იმისთანა ახალგაზრდებთან..." იანქოშვილს პირდაპირი მნიშვნელობით ესმის, როგორც ხელის დასვრა, გაჭუჭყიანება.

ინგლისური იდიომები სავსებით გაუგებარია „მკვლევარისათვის" და ასეთ გამოთქმებს იგი ყოველთვის პირდაპირი მნიშვნელობითა ხსნის. მაგალითად, მარცელუსის სიტყვები:

„Something is rotten in the state of Denmark", რომელიც იდიომად შევიდა ინგლისურ ენაში და იხმარება ცუდი მდგომარეობის, არევდარევის გამოსახატავად, მაჩაბელს სავსებით სამართლიანად ასე აქვს თარგმნილი: „მგონი დანიას ელის რაღაც უბედურება". იანქოშვილი უსწორებს: „თარგმანში არ არის მოცემული აბსტრაქტული ცნების გაფიზიკურება. უნდა იყოს: დანიის სახელმწიფოში რაღაც ლპება".

თავისი „შენიშვნების" დასასაბუთებლად მ. იანქოშვილი ხშირად მიმართავს პროფესორ მოროზოვს, დაუდენს, როლის და სხვებს. რატომ ჰგონია მას, რომ მაჩაბელი ერთ-ერთი დიდი მცოდნე არ არის შექსპირისა? ძალიან ხშირად მაჩაბელი შექსპირის ცნობილ კომენტატორებზე უფრო კარგად ხსნის ტექსტს. განა სავალდებულოა მას მეცნიერების კანდიდატის ან დოქტორის ხარისხი ჰქონოდა და ყველა მის მიერ თარგმნილი სტრიქონების განმარტება ცალკე ყოფილიყო მოცემული? ეს განმარტება მისავე თარგმანებშია, რომლებსაც გამოკვლევა უნდა. რატომ ასე ზევიდან დასცქერის იანქოშვილი მაჩაბლის დიდ ღვაწლს? სწორედ ის მაგალითები, სადაც „მკვლევარი" აზრის დამახინჯებასა და „აბსტრაქტულის გაფიზიკურებას" ხედავს, არის ნამდვილი შემოქმედებითი თარგმანი, მაღალმხატვრული თარგმანი. ამ თარგმანებზე ჩვენი ახალგაზრდობა სწავლობს თარგმნის ხერხებსაც, შექსპირის შემოქმედებასაც და ქართულ ენასაც.

ჩვენ მხატვრული ლიტერატურის თარგმნის შესანიშნავი ტრადიცია გვაქვს. მაჩაბლის მეთოდი და ხერხი უთუოდ მართალი და ბრწყინვალეა. რატომ ცდილობს „მკვლევარი" შეცდომაში შეიყვანოს ახალგაზრდობა? რატომ გმობს იგი ამ მეთოდს?

ჩვენს „მკვლევარს" თავის „შრომაში" არც ერთი მეცნიერული მოსაზრება არა აქვს წარმოდგენილი, ხოლო ორიგინალის სიტყვასიტყვით გარჩევისას საკმაოდ იჩენს როგორც ინგლისურის, ისე ქართული ენის უცოდინარობას.

განა შეიძლებოდა ასეთი „შრომისათვის" სამეცნიერო ხარისხის მინიჭება?

**ვახტანგ ჭელიძე**

# თურქეთი დღეს*

(ჟურნალისტის შენიშვნები)

## თეატრი და კინო თურქეთში

ანკარაში, ოპერის თეატრის გარდა, რომელიც მხოლოდ 1948 წელს გაიხსნა, არის პატარა დრამატული თეატრი. ის დგამდა მოლიერის „ტარტიუფს", შექსპირის „მეთორმეტე ღამეს" და საკმაოდ პრიმიტიული სიუჟეტის რამდენიმე ორიგინალურ პიესას.

თანამედროვე თურქეთის თეატრის იდეური დონე მეტად უბადრუკია. თურქეთში თეატრი მმართველი წრეების მხარდაჭერით არ სარგებლობს, თუმცა ხალხს ის უყვარს. მმართველი წრეები ფიქრობენ, რომ უფრო სასარგებლოა სხვა სახის გართობანი.

სტამბოლში, რომლის მოსახლეობა ერთ მილიონს აღემატება, არის მხოლოდ ორი თეატრი, ორი ოპერეტა, მრავალი ბარი და... 40 საროსკიპო, რომლებიც სტამბოლის მუნიციპალიტეტის დიდი შემოსავლის წყაროს წარმოადგენენ. ანკარაში 7 კინოთეატრია, სტამბოლში—რამდენიმე ათეული. კინოთეატრებში უმთავრესად აჩვენებენ ტრიუკებიან ამერიკულ ფილმებს, რომლებშიც ვხედავთ დაუსრულებელ მკვლელობას, ძარცვას, ქურდობას; ეს ფილმები რყვნიან თურქეთის ახალგაზრდობას, რის ფაქტებიც მრავალია.

როცა თურქეთის თეატრის მდგომარეობაზე ვლაპარაკობთ, ინტერესს მოკლებული არ არის აღვნიშნოთ, თუ რა ბედი ეწია ძველ მსახიობს ქემალ საჰირს, რომელმაც თურქეთის მოძრავი თეატრის სცენაზე 25 წელი იმუშავა. ეს მსახიობი უკიდურეს მძიმე მატერიალურ მდგომარეობაში იყო, პირდაპირ შიმშილობდა. ერთხელ მისმა ქალიშვილმა იყიდა ერთი ლირის ლატარიის ბილეთი. 1947 წლის მაისში ქემალ საჰირმა ამ ბილეთით მოიგო დიდი თანხა. ცხადია, იმისათვის, რომ ეს ფაქტი ლატარიის ბილეთების შეძენის საგიტაციოდ გამოეყენებინა, „ულუსმა" 1947 წლის 23 მაისს გამოაქვეყნა თავისი კორესპონდენტის საუბარი მსახიობთან, რომელსაც უთქვამს: „51 წლისა ვარ. 25 წლის განმავლობაში შემოვიარე ანატოლიის ბევრი ქალაქი. ყველგან გვხვდებოდნენ ტაშითა და მოწონებით. მაგრამ მაძღარი არასოდეს არ ვყოფილვართ და ხშირად მშიერი და ვალებით დატვირთული ვბრუნდებოდით შინ". შეკითხვაზე, ასეთი დიდი მოგების შემდეგ განაგრძობთ თუ არა თეატრში მუშაობასო, ცრემლმორეულმა მსახიობმა უპასუხა: „ბევრი ჩემი პროფესიის ამხანაგი სიღატაკეში ცხოვრობს. თვალწინ მიდგას ნაშიდისა და, განსაკუთრებით, მუხლის საბახატინის სახე, რომელიც ტუბერკულოზით მოკვდა. ჩემი ამხანაგები მათხოვრებად განშორდნენ სიცოცხლეს". მსახიობმა თავისი განცხადება დაამთავრა სიტყვებით: „მე ხელს ავიღებ ჩემს პროფესიაზე და დავიწყებ ვაჭრობას".

## ქალის მდგომარეობა თურქეთში

1925 წლიდან თურქეთში სპეციალური კანონით გაუქმდა ჩადრის ტარება. ქალი უფლებით ფორმალურად გაუთანაბრეს მამაკაცს. მაგრამ ფაქტიურად იგი ისეთ მდგომარეობაშია, რაც საფუძველს არ გვაძლევს თანასწორუფლებიანობაზე ვილაპარაკოთ. იმის ყველაზე მკაფიო მაჩვენებელი, რომ თურქეთში ქალს საშუალება არა აქვს მონაწილეობა მიიღოს სახელმწიფოს პოლიტიკურ ცხოვრებაში, არის თუნდაც ის ფაქტი, რომ თურქეთის მეჯლისში 456 დეპუტატიდან მხოლოდ 9 ქალია.

დაწესებულებებშიც ცოტას ნახავთ ქალებს. ხელმძღვანელ სამუშაოზე ქალი სრულიად არ არის.

უფრო მეტიც, მმართველ სახალხო-რესპუბლიკურ პარტიაში ახლაც კი გაისმის ხმა, რომ შეუწყნარებელია ქალთა თანასწორუფლებიანობა. გაზეთ „ენი საბახის" 1948 წლის თებერვლის ცნობით, ამ პარტიის ერთ-ერთმა აქტივისტმა პარტიის ერთი პირველადი ორგანიზაციის კრებაზე სტამბოლში პირდაპირ განაცხადა: „მე სწორად არ მიმაჩნია, რომ ქალი მამაკაცს გაუთანაბრდესო".

გაზეთ „იუმრუკში" („მუშტი") ვინმე ნიუზიტ ბორა 1948 წლის 17 აპრილს წერდა: „განქორწინების ძირითადი მიზეზია ქალების მისწრაფება საქმიანი ცხოვრებისადმი... არის ისეთი სახის სამუშაოები, რომლებსაც არ შეეფერება ქალის ჭკუა და ლოგიკა. არის ისეთი საქმე, რომელიც ვერ ითმენს ქალის კაპრიზებს. ქალი კი კაპრიზია... ყველას გვსურს, რომ ჩვენს ქალებს განათლება ჰქონდეთ, მაგრამ ქალი სახელმწიფოს მაშინ უფრო გამოადგება, თუ თავის დიპლომს კედელზე ჩამოჰკიდებს და თავის კულტურულ ცოდნას მოახმარს ქმრის წარმატებასა და შვილების აღზრდას".

სწორედ ქალისადმი ასეთი დამოკიდებულება არის იმის მიზეზი, რომ მამაკაცთა შორის წერა-კითხვისმცოდნეობა ოფიციალური სტატისტიკის მიხედვით შეადგენს 50-მდე პროცენტს, ქალთა შორის კი ის ძლივს აღწევს 32 პროცენტს.

მრავალცოლიანობა კანონით აკრძალულია, მაგრამ სოფლად ის დღემდე შენარჩუნებულია. „უკანონოდშობილ" ბავშვთა, ესე იგი მეორე და მესამე ცოლისაგან შეძენილი შვილების რაოდენობამ 1945 წელს 1 მილიონ 800 ათასს მიაღწია. მთავრობა იძულებული იყო სპეციალური კანონით გაეფორმებინა ეს ბავშვები და „კანონიერშობილებად" ეცნო ისინი.

## პოლიტიკური პარტიები

ამჟამად პოლიტიკურ ასპარეზზე მოქმედებს სამი პარტია, რომელთაც დეპუტატები ჰყავთ მეჯლისში (თურქეთის პარლამენტი).

პირველი მათგანია მმართველი სახალხო-რესპუბლიკური პარტია, რომელიც ჯერ კიდევ ათათურქის დროს შეიქმნა. პრეზიდენტი ინენიუ და თურქეთის კაბინეტის წევრები ამ პარტიის წევრები არიან. 1946 წლამდე, „ერთპარტიული რეჟიმის" პერიოდში, ეს პარტია ერთადერთი იყო, რომელსაც წარმომადგენლობა ჰყავდა მეჯლისში. 1946 წელს სახალხო-რესპუბლიკურ პარტიაში გაჩნდა საკმაოდ ძლიერი ოპოზიცია, რომელსაც მეთაურობდა ყოფილი პრემიერ-მინისტრი ბაიარი. ამ ოპოზიციონერებმა სახალხო-რესპუბლიკურ პარტიას ბრალად დასდეს „დემოკრატიისა და თავისუფლების" საქმის ღალატი და შექმნეს ახალი პარტია, რომელსაც დემოკრატიული უწოდეს. 1946 წლის დეკემბერში შედგა მისი პირველი ყრილობა. მეჯლისის 456 ადგილიდან დემოკრატიულმა პარტიამ არჩევნებში მიიღო 60 ადგილი. მაგრამ 1947 წლის დამლევს თვითონ დემოკრატიულ პარტიაში წარმოიშვა ოპოზიცია, რომელსაც მეთაურობდა სტამბოლის ორგანიზაციის თავმჯდომარე პროფესორი კენან ონერი (გარდაიცვალა მიმდინარე წელს). ამ ოპოზიციის წევრებმა დემოკრატიული პარტიის ხელმძღვანელობას ბრალად დასდეს, რომ იგი ხელში ჩაჭერილი ჰყავს მმართველ სახალხო-რესპუბლიკურ პარტიას, უღალატა დემოკრატიის საქმეს და ხალხის ინტერესებს", აღარ ეწევა „მებრძოლი ოპოზიციური პარტიის" პოლიტიკას. 1948 წლის გაზაფხულზე ოპოზიციონერებმა შექმნეს ახალი (სათვალავით მესამე) პოლიტიკური პარტია ნაციონალური პარტიის სახელწოდებით. პარტიის საპატიო თავმჯდომარედ აირჩიეს თურქეთის არმიის ერთ-ერთი ძველი გენერალი მარშალი ჩაკმაკი. პარტიის თავმჯდომარეა ბაიარი.

ასეთია თურქეთში არსებული სამი ძირითადი პოლიტიკური პარტია. გარდა ამისა, არის კიდევ 20 სხვა მცირე პარტია, მაგრამ მათ არავითარი მნიშვნელობა არა აქვთ. რაც შეეხება კომუნისტურ პარტიას, იგი კანონგარეშე გამოცხადდა ჯერ კიდევ 1925 წელს.

ისეთი გამოჩენილი კომუნისტი, როგორიცაა შესანიშნავი თურქი პოეტი ნაზიმ ჰიქმეთი, საპატიმროში იტანჯება 1938 წლიდან. მან იქ უნდა დაჰყოს კიდევ 8 წელი. შარშან ხუთი წლის პატიმრობა მიუსაჯეს მეორე ცნობილ კომუნისტს, დოქტორ შევფიქ ჰიუსნიუ დოგმერთურქს, რომელიც მანამდე რამდენიმე წელს იყო დაპატიმრებული. გარდა იმისა, სხვადასხვა ვადით პატიმრობა მიესაჯა 43 კომუნისტს.

თუმცა დემოკრატიული და ნაციონალური პარტიები „ოპოზიციაში" უდგანან მთავრობას, მაგრამ მათსა და მმართველ პარტიას შორის არსებითად არავითარი განსხვავება არ არის, რადგან სამივე ეს პარტია წარმოადგენს თურქეთის გაბატონებული კლასების— მემამულე-ბეგების, ბურჟუაზიის, ვაჭრებისა და ბობოლების ინტერესებს. ყველა ისინი გულმოდგინედ იცავენ ძალადობისა და ჩაგვრის ახლანდელ რეჟიმს, რომელიც მძიმე ლოდად აწევს მშრომელებს, თუმცა თვითეული ეს პარტია გამოდის „ხალხის" სახელით, გაჰყვირის „დემოკრატიასა" და „თავისუფლებაზე", ხშირად მიმართავს მყვირალა დემაგოგიას, რის მიზანია იშოვოს რაც შეიძლება მეტი მომხრე.

იმის შიშით, რომ ახლანდელი რეჟიმის გამო ხალხის უკმაყოფილება ფართო ხასიათს მიიღებს, ეს კი საფრთხეში ჩააგდებს ახლანდელ „სტრუქტურას", ესე იგი კაპიტალისტურ წყობილებას, თვითეული ეს პარტია ცდილობს თავი გაასაღოს „ხალხის ინტერესების ნამდვილ დამცველად".

მე შემთხვევა მომეცა დავსწრებოდი მასობრივ მიტინგს, რომელიც 1947 წლის სექტემბერში მოიწვია ანკარაში დემოკრატიული პარტიის ხელმძღვანელობამ. მიტინგზე სიტყვა წარმოთქვეს ამ პარტიის ლიდერებმა ბაიარმა და პროფესორმა კეპრიულიუმ. მათ გარდა, სიტყვა წარმოთქვეს პარტიის რიგითმა წევრებმა რაიონებიდან ჩამოსული „მუშებისა" და „გლეხების" სახით. მათ თავიანთი გარეგნული შესახედაობით (დახეული ტანსაცმელი, ჭუჭყიანი ხელები) დამსწრეთა შორის უნდა შეექმნათ ისეთი შთაბეჭდილება, რომ ლაპარაკობენ „თვით ხალხის" წარმომადგენლები. როცა ისმენდით მათ სიტყვებს, იფიქრებდით, რომ ლაპარაკობდნენ რევოლუციონერი მუშები, რომლებიც ხალხს მოუწოდებდნენ — გაჰყევით დემოკრატიულ პარტიას, რომელიც თურქ ხალხს გაათავისუფლებს ჩაგვრისა და ძალადობისაგან და ბედნიერ ცხოვრებას მოუპოვებსო.

მიტინგზე ყურადღებით ვაკვირდებოდი დამსწრეთა სახის გამომეტყველებას. მათ შორის იყო ბევრი მუშა, ჰამალი, მოხელე, ინტელიგენტი, ახალგაზრდა. მე ვხედავდი, რომ ორატორების სიტყვები შთაბეჭდილებას ვერ ახდენდა მსმენელებზე. როცა ორატორები პათეტიკურად ეკითხებოდნენ დამსწრეთ „გსურთ თუ არა მთავრობა, რომელიც ვერ გააიაფებს ცხოვრებას, ვერ შეამცირებს უმუშევრობას, ვერ უზრუნველყოფს ხალხისათვის თავისუფალ არჩევნებს?" აქაიქ გაისმოდა ტაში და შეძახილები: „არა, არა გვსურს!", მაგრამ მასა ნაკლებად ეხმაურებოდა მოწოდებებს: „მაშ გაჰყევით დემოკრატიულ პარტიას, მხარი დაუჭირეთ მის ბრძოლას თქვენი ბედნიერებისათვის".

არანაკლები ექსტაზითა და დემაგოგიით გამოდიოდნენ და გამოდიან ხალხის მასების წინაშე ნაციონალური პარტიის წარმომადგენლები.

ნაციონალური პარტიაც, რომელიც ხშირად ხმაურობს მეჯლისში, ერთიმეორეზე შეაქვს შეკითხვები მთავრობის მიმართ, ამხილებს ცალკეულ ადმინისტრატორებს, აკრიტიკებს მთავრობას სხვადასხვა საბაბით და უსაბაბოდ, შეხმატკბილებულია თურქეთის რეაქციასთან საგარეო და საშინაო პოლიტიკის ყველა ძირითად საკითხში.

მოკლედ რომ ვთქვათ, თვითეული ოპოზიციური პარტია ცდილობს სათავეში ჩაუდგეს ხელისუფლებას, რომ უფრო მოხერხებული მეთოდებით გაუსწორდეს პროგრესულ მოძრაობას, რაც ისედაც მარწუხში ჰყავთ მომწყვდეული თურქეთის პოლიციასა და ჟანდარმერიას.

მეტად დამახასიათებელია, რომ არც ერთ „ოპოზიციურ" პარტიას, რომელიც „ხალხის ინტერესების დასაცავად" გამოდის, არ გამოუთქვამს გულისწყრომა თურქეთის რეაქციის აღმაშფოთებელი ბოროტმოქმედების — განთქმული თურქი მწერლის და პროგრესული პოლიტიკური მოღვაწის საბახატინ ალის მოკვლის გამო, რომელიც მთელ თავის სიცოცხლეში იბრძოდა ხალხის ინტერესებისათვის და ინგლისელ-ამერიკელი იმპერიალისტებისაგან თავისი ქვეყნის ნამდვილი დამოუკიდებლობისათვის. ეს ცოტაა, გაზეთ „ჰერ გიუნის" რედაქტორი გიურთუნჯი, რომელსაც თავხედობა ჰყოფნის თურქი ხალხის სახელით ილაპარაკოს, საბახატინ ალის მოკვლის შემდეგ წერდა: „მკვლელმა კეთილშობილი საქმე შეასრულა, რომელიც თურქ პატრიოტს შეეფერება". სხვა „ოპოზიციური" გაზეთები სენსაციურ დაწვრილებით ცნობებს ბეჭდავდნენ ამ დანაშაულობის შესახებ, მწერლის მოკვლის თაობაზე ავრცელებდნენ პოლიციის მიერ შეთხზულ ვერსიას, როგორც სარწმუნო და უდავო ფაქტს. ცხადია, ამით პრესა არ მალავდა თავის სიხარულს საშინელი დანაშაულის ჩადენის გამო.

**ი. რუხაძე**

(გაგრძელება იქნება)

*) გაგრძელება. დასაწყისი იხ. „კომუნისტი" 9/VII.

# პროფკავშირთა მეორე მსოფლიო კონგრესზე

## დი ვიტორიოს მოხსენება

[illegible]

განყოფილება: მეტალურგიული და მანქანათმშენებელი მრეწველობის მშრომელებისა, ფეიქრებისა და მკერავებისა, მეტყავეებისა და მეფეხსაცმელეებისა და განათლების მუშაკებისა. ამ განყოფილებებში მონაწილეობენ ევროპის, აზიის, ამერიკის, ავსტრალიის, აფრიკის ქვეყნების პროფკავშირები. პირველად საერთაშორისო მუშათა მოძრაობის ისტორიაში განხორციელებულია მრეწველობის ამ დარგების მუშათა საერთაშორისო გაერთიანება საწარმოო საფუძველზე.

საწარმოო განყოფილებათა მთელი საქმიანობა, თქვა საბჭოთა პროფკავშირების დელეგატმა, უნდა შეესაბამებოდეს პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციის მიზნებსა და პრინციპებს, რომლებიც ასახავენ ყველა მუშის ინტერესებს. ზემო ნათქვამის შესაბამისად საწარმოო განყოფილებათა ამოცანებში უნდა შევიდეს შემდეგი საკითხები:

1. მშრომელთა პროფკავშირული, ეკონომიური და სოციალური უფლებების დაცვა;
2. ბრძოლა მათი მატერიალური დონის ამაღლებისა და მუშაობის უზრუნველყოფისათვის;
3. სამუშაო დროის ხანგრძლივობის შეზღუდვა და სამუშაო დღის სრული დატვირთვა;
4. ბრძოლა დისკრიმინაციის წინააღმდეგ შრომითს კანონმდებლობაში რასის, სქესის, ასაკისა და სხვა ნიშნების მიხედვით;
5. ბრძოლა სრული სოციალური დაზღვევის სისტემის შემოღებისათვის;
6. ყოველწლიური ფასიანი შვებულების მიცემა;
7. წარმოებაში შრომის პირობების გაუმჯობესება;
8. მშრომელთა სწავლისა და პროფესიული მომზადების განვითარებისათვის ხელშეწყობა.

საბჭოთა დელეგაციის წინადადება შემოაქვს მოწონებულ იქნას პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციის აღმასკომისა და სამდივნოს საქმიანობა საწარმოო განყოფილებათა შექმნის დარგში. დაევალოს აღმასკომს მოამზადოს და უახლოეს დროში ჩაატაროს დამფუძნებელი კონფერენციები კონგრესის მიერ დასახულ საწარმოო განყოფილებათა შესაქმნელად.

საბჭოთა დელეგაცია მტკიცე რწმენას გამოთქვამს, რომ საწარმოო განყოფილებათა შექმნის შემდეგ პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაცია უფრო ეფექტიანად შეასრულებს მის წინაშე დასახულ ამოცანებს.

გაუმარჯოს მუშათა კლასის საერთაშორისო თანამშრომლობას მთელ მსოფლიოში! უფრო მაღლა ავწიოთ მშრომელთა საარსებო დონის ამაღლებისათვის ბრძოლის დროშა! (ტაში).

**მილანი**, 8 ივლისი. (საკდესის სპეც. კორ.). პროფკავშირთა მეორე მსოფლიო კონგრესის გუშინდელ საღამოს სხდომაზე გრძელდებოდა კამათი აზიის, ავსტრალიის და ლათინური ამერიკის კოლონიურ და ნახევრად კოლონიურ ქვეყნებში ნაციონალური განთავისუფლებისათვის მშრომელთა ბრძოლისა და პროფკავშირთა საქმიანობის საკითხის გამო. კამათში გამოვიდა 8 ორატორი, მათ შორის ტუნისის, სამხრეთ აფრიკის, ლიბანის, სირიის, ბოლივიისა და ბრაზილიის პროფკავშირული ცენტრების წარმომადგენლები. კონგრესმა დიდი ყურადღებით მოისმინა საბჭოთა დელეგაციის წევრის, პროფკავშირთა ყაზახეთის რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარის ალიშერ ბეისენოვის გამოსვლა.

შემდეგ კონგრესმა მოისმინა რენატო ბიტოსის (იტალია) მოხსენება დღის წესრიგის მორიგ პუნქტზე „მუშახელის ადგილგადანაცვლების (მიგრაცია) პრობლემა და მიგრირებულ მშრომელთა გათანაბრება ეკონომიურ და სოციალურ უფლებებში".

სხდომის დასასრულს კონგრესმა ტაშის გრიალში ერთხმად მიიღო კომისიის მიერ შემუშავებული რეზოლუცია პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციის საქმიანობის შესახებ გენერალური მდივნის ანგარიშის გამო.

დღეს გრძელდება კამათი კოლონიურ და დამოკიდებულ ქვეყნებში პროფკავშირთა საქმიანობისა და მიგრაციის პრობლემების საკითხის გამო. დღესვე შედგება პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციის გენერალური საბჭოს არჩევნები.

## კამათი პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციის საწარმოო განყოფილებათა შესახებ მოხსენების გამო

დისკუსიაში დი ვიტორიოს მოხსენების გამო გამოვიდა პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციის სამდივნოს რწმუნებული საწარმოო განყოფილებათა ორგანიზაციის დარგში გებერტი (პოლონეთი).

გებერტმა ხაზგასმით აღნიშნა საწარმოო განყოფილებათა შესაქმნელად ამა წლის ივნისში მოწვეული პირველი დამფუძნებელი კონფერენციების საერთაშორისო ხასიათი. ტურინის მეტალურგიული და მანქანათმშენებელი მრეწველობის მშრომელთა საწარმოო განყოფილების დამფუძნებელ კონფერენციაზე 17 ქვეყნის 62 დელეგატი წარმოადგენდა 7.536.700 მშრომელს. წარმოდგენილი იყვნენ შემდეგი ქვეყნები: საფრანგეთი, იტალია, ესპანეთი, გერმანია, ლუქსემბურგი, პოლონეთი, უნგრეთი იუგოსლავია, ალბანეთი, რუმინეთი, ავსტრალია, ინდოეთი, ვენესუელა, ჩეხოსლოვაკია, ჰოლანდია და სსრ კავშირი, აგრეთვე ტრიესტი. გარდა ამისა მეთვალყურენი წარმოადგენდნენ დიდი ბრიტანეთის, კანადის, ფინეთისა და ბელგიის მელითონეებს.

ტყავისა და ბეწვეულის მუშათა საწარმოო განყოფილების დამფუძნებელი კონფერენცია შედგა გოტვალდოვში (ჩეხოსლოვაკია). მას [illegible]

[illegible] ტრედ-უნიონთა კონგრესის ლიდერთა მითითებებს ასრულებდნენ, ყველაფერი გააკეთეს იმისათვის, რომ ჩაეშალათ საწარმოო განყოფილებათა შექმნა.

თავიანთ გამთიშველ მოქმედებაში საერთაშორისო საწარმოო სამდივნოს, ბრიტანეთის ტრედ-უნიონთა კონგრესის და ამერიკის შეერთებული შტატების საწარმოო პროფკავშირთა კონგრესის ლიდერები იქამდე მივიდნენ, რომ აშკარად ახორციელებენ დისკრიმინაციის პოლიტიკას. ისინი თავიანთ კონფერენციებში მონაწილეობას უკრძალავენ სახალხო დემოკრატიული ქვეყნებისა და იმ ქვეყნების პროფკავშირებს, რომლებიც არ ეთანხმებიან მათ პოლიტიკას.

[illegible]

## ამერიკის სრულიად სლავთა კონგრესის მდივნის პირინსკის დაპატიმრება

[illegible]

[illegible] წინდროთ, ვიდრე საბოლოო გადაწყვეტილებას გამოიტანდნენ მისი, როგორც „უცხოელი" — კომუნისტის გადასახლების საქმის გამო. (პირინსკი ამერიკის შეერთებულ შტატებში ცხოვრობს 1923 წლიდან). საიმიგრაციო ხელისუფ- [illegible] ჯონსონის ამასწინანდელი დაპატიმრება მოწმობს, რომ მთავრობა საპატიმროში ამწყვდევს უცხო წარმოშობის ანტიფაშისტებს, ვიდრე მათი გადასახლების საქმე გაირჩეოდეს, რათა ხელი შეუშალოს მათი საქმიანობის განგრძობას.

## პოლიციის თავდასხმა ავსტრალიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და კომუნისტურ გაზეთ „ტრიბუნის" შენობაზე

**სიდნეი**, 8 ივლისი. (საკდესი). დღეს სიდნეიში პოლიცია თავს დაესხა ავსტრალიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და გაზეთ „ტრიბუნის" რედაქციის შენობას. თავდასხმა მოხდა დილის 9 საათზე და სამ საათს გაგრძელდა. 50 შეიარაღებულმა პოლიციელმა და მაძებარმა შენობა დაიკავა და გაჩხრიკა მაგიდები, კარადები და სეიფები, გაჩხრიკეს დამსწრეთა პირადი ნივთებიც. პოლიციამ რამდენიმე სატვირთო მანქანით წაიღო დოკუმენტები და ლიტერატურა.

კანბერიდან მიღებული ცნობების თანახმად, ავტორიტეტულმა წრეებმა განაცხადეს, რომ პოლიციის თავდასხმა მოწყობილი იყო ავსტრალიის ლეიბორისტული მთავრობის სრული თანხმობით და რომ თავდასხმის გეგმა დაწვრილებით გუშინ შემუშავდა. თავდასხმას დაესწრო სამეფო პროკურორის მოადგილე, მაგრამ ჩხრეკის მიზანი არ გამოუცხადებია.

## სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის აღდგენისა და განვითარების მესამე სახელმწიფო სესხი

### მოგებათა პირველი ტირაჟის ოფიციალური ცხრილი

ტირაჟი შედგა 1949 წლის 8 ივლისს ქალაქ დნეპროპეტროვსკში

პირველ ტირაჟში მოგება ხვდა სესხის ყველა 226 თანრიგის სერიებისა და ობლიგაციების შემდეგ ნომრებს:

| სერიის №№ | ობლიგაციის №№ | მოგების რაოდენობა მანეთობით | სერიის №№ | ობლიგაციის №№ | მოგების რაოდენობა მანეთობით | სერიის №№ | ობლიგაციის №№ | მოგების რაოდენობა მანეთობით | სერიის №№ | ობლიგაციის №№ | მოგების რაოდენობა მანეთობით |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 040051 | 1—50 | 500 | 045373 | 1—50 | 200 | 049905 | 06*) | 1.000 | 054760 | 1—50 | 200 |
| 040154 | 1—50 | 500 | 045464 | 1—50 | 500 | 050056 | 20*) | 1.000 | 054903 | 02*) | 10.000 |
| 040171 | 28*) | 5.000 | 045488 | 32*) | 1.000 | 050175 | 1—50 | 200 | 055096 | 42*) | 1.000 |
| 040453 | 29*) | 1.000 | 045528 | 31*) | 1.000 | 050328 | 20*) | 1.000 | 055147 | 36*) | 1.000 |
| 040468 | 21*) | 1.000 | 045572 | 1—50 | 500 | 050449 | 50*) | 1.000 | 055151 | 1—50 | 500 |
| 040688 | 08*) | 1.000 | 045581 | 1—50 | 200 | 050474 | 15*) | 1.000 | 055211 | 1—50 | 500 |
| 040742 | 42*) | 1.000 | 045817 | 45*) | 1.000 | 050520 | 1—50 | 500 | 055416 | 1—50 | 500 |
| 040797 | 07*) | 1.000 | 046042 | 04* | 1.000 | 050702 | 37*) | 1.000 | 055546 | 37*) | 1.000 |
| 040920 | 1—50 | 200 | 046248 | 48*) | 1.000 | 051127 | 24*) | 1.000 | 055642 | 01*) | 1.000 |
| 041068 | 49*) | 1.000 | 046290 | 05*) | 10.000 | 051163 | 1—50 | 200 | 055866 | 22*) | 1.000 |
| 041106 | 1—50 | 200 | 046376 | 26*) | 1.000 | 051356 | 1—50 | 200 | 055919 | 1—50 | 500 |
| 041145 | 1—50 | 200 | 046391 | 1—50 | 500 | 051643 | 19*) | 1.000 | 056130 | 32*) | 1.000 |
| 041217 | 21*) | 1.000 | 046439 | 35*) | 1.000 | 051650 | 1—50 | 200 | 056135 | 07*) | 1.000 |
| 041273 | 29*) | 1.000 | 046482 | 1—50 | 200 | 051826 | 01*) | 1.000 | 056361 | 06*) | 1.000 |
| 041308 | 43*) | 1.000 | 046536 | 38*) | 1.000 | 052494 | 03*) | 1.000 | 056656 | 1—50 | 200 |
| 041481 | 13*) | 1.000 | 046641 | 10*) | 1.000 | 052518 | 1—50 | 200 | 056705 | 44*) | 1.000 |
| 041485 | 1—50 | 500 | 046887 | 36*) | 1.000 | 052565 | 02*) | 1.000 | 056895 | 1—50 | 200 |
| 041656 | 1—50 | 200 | 046913 | 1—50 | 200 | 052581 | 03*) | 5.000 | 056907 | 1—50 | 200 |
| 041753 | 21*) | 1.000 | 047016 | 1—50 | 500 | 052778 | 13*) | 1.000 | 057022 | 13*) | 1.000 |
| 042152 | 28*) | 1.000 | 047048 | 24*) | 1.000 | 052819 | 20*) | 5.000 | 057071 | 1—50 | 200 |
| 042185 | 04*) | 5.000 | 047307 | 1—50 | 200 | 052838 | 13*) | 1.000 | 057088 | 38*) | 5.000 |
| 042612 | 47*) | 1.000 | 047514 | 20*) | 1.000 | 052953 | 36*) | 25.000 | 057125 | 04*) | 1.000 |
| 042732 | 1—50 | 500 | 047527 | 32*) | 1.000 | 053026 | 1—50 | 200 | 057237 | 1—50 | 200 |
| 042759 | 03*) | 1.000 | 047725 | 47*) | 1.000 | 053030 | 04*) | 1.000 | 057308 | 47*) | 1.000 |
| 042770 | 03*) | 1.000 | 047944 | 44*) | 10.000 | 053059 | 1—50 | 200 | 057391 | 21*) | 1.000 |
| 042851 | 1—50 | 200 | 048011 | 33*) | 1.000 | 053190 | 47*) | 1.000 | 057473 | 34*) | 1.000 |
| 042972 | 09*) | 1.000 | 048099 | 1—50 | 200 | 053203 | 33*) | 1.000 | 057495 | 1—50 | 200 |
| 042994 | 1—50 | 200 | 048107 | 20*) | 1.000 | 053304 | 29*) | 1.000 | 057565 | 43*) | 1.000 |
| 043127 | 05*) | 1.000 | 048156 | 40*) | 1.000 | 053347 | 24*) | 1.000 | 057717 | 1—50 | 200 |
| 043330 | 41*) | 1.000 | 048387 | 06*) | 1.000 | 053363 | 1—50 | 500 | 057804 | 43*) | 1.000 |
| 043410 | 20*) | 1.000 | 048483 | 1—50 | 200 | 053497 | 35*) | 1.000 | 057918 | 50*) | 1.000 |
| 043848 | 1—50 | 500 | 048566 | 35* | 1.000 | 053600 | 1—50 | 200 | 058302 | 10*) | 1.000 |
| 043958 | 25*) | 1.000 | 048652 | 38*) | 1.000 | 053666 | 1—50 | 200 | 058523 | 09*) | 1.000 |
| 044450 | 1—50 | 500 | 048888 | 19*) | 1.000 | 053842 | 36*) | 1.000 | 059039 | 1—50 | 500 |
| 044493 | 04*) | 1.000 | 048962 | 30*) | 5.000 | 054168 | 25*) | 10.000 | 059127 | 49*) | 1.000 |
| 044587 | 12*) | 1.000 | 048996 | 1—50 | 500 | 054374 | 09*) | 1.000 | 059202 | 48*) | 1.000 |
| 044757 | 14*) | 5.000 | 049035 | 21*) | 1.000 | 054419 | 1—50 | 200 | 059209 | 1—50 | 200 |
| 044796 | 45*) | 5.000 | 049046 | 20*) | 1.000 | 054438 | 23*) | 1.000 | 059227 | 1—50 | 500 |
| 044816 | 1—50 | 200 | 049117 | 09*) | 1.000 | 054528 | 15*) | 5.000 | 059314 | 16*) | 1.000 |
| 044969 | 39*) | 1.000 | 049243 | 43*) | 1.000 | 054537 | 25*) | 1.000 | 059431 | 18*) | 1.000 |
| 045061 | 1—25 | 200 | 049478 | 01*) | 5.000 | 054639 | 1—50 | 200 | 059467 | 28*) | 1.000 |
| 045165 | 48*) | 1.000 | 049650 | 03*) | 1.000 | 054645 | 26*) | 25.000 | 059791 | 1—50 | 500 |
| 045211 | 06*) | 1.000 | 049750 | 40*) | 1.000 | | | | 059944 | 32*) | 50.000 |
| 045320 | 26*) | 1.000 | 049822 | 09*) | 10.000 | | | | | | |

*) ამ სერიის დანარჩენ 49 ობლიგაციას ხვდა 200 მანეთი მოგება.

სატირაჟო კომისიის თავმჯდომარე **ნ. ე. გავრილენკო**

სატირაჟო კომისიის პასუხისმგებელი მდივანი **ს. დ. ვორონკოვი**

პასუხისმგებელი რედაქტორის მოადგილე **ი. ნატროშვილი**


საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის **მეხილეობის საცდელი სადგური** აცხადებს **კონკურსს**.

აგროტექნიკის განყოფილების უფროსი მეცნიერი თანამშრომლის ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად.

კონკურსში მონაწილეობის მიღების მსურველებმა განცხადება უნდა შემოიტანონ ყველა საჭირო საბუთის თანდართვით (ავტობიოგრაფია, კადრების აღრიცხვის პირადი ფურცელი, დიპლომის ასლი, საბუთი სამეცნიერო ხარისხის მინიჭების შესახებ, ფოტოსურათები, დახასიათება მუშაობის უკანასკნელი ადგილიდან) არაუგვიანეს ა. წ. 31 ივლისისა შემდეგი მისამართით: ს. სკრა, გორის რაიონი.

**თბილისის ენერგეტიკული სახელოსნო სასწავლებელი № 14** აცხადებს მოწაფეთა მიღებას 1949-50 სასწავლო წლისათვის და ამზადებს შემდეგი სპეციალობის ხელოსნებს: 1. ელექტრომონტიორებს, 2. ელექტროშემდუღებლებს, 3. ხარატებს, 4. ზეინკლებს.

სწავლის ვადა ყველა სპეციალობაზე ორი წელია, სასწავლებელში მიიღებიან ვაჟები, რომელთაც მიღების მომენტში შეუსრულდათ 14 წელი და 17 წლამდე ასაკისა.

ელექტრომონტიორის და ელექტროშემდუღებლის სპეციალობაზე შემომსვლელთ უნდა ჰქონდეთ განათლება არანაკლები შვიდი კლასისა.

სახარატო და საზეინკლო სპეციალობაზე შემოსულთ უნდა ჰქონდეთ განათლება არანაკლები ოთხი კლასისა.

შემომსვლელნი აბარებენ მისაღებ გამოცდებს მშობლიურ ენასა და მათემატიკაში სპეციალობის შესაბამისად 4 და 7 კლასის ცოდნის ფარგლებში.

გამოცდებისაგან თავისუფლდებიან ის მოსწავლეები, რომელთაც აქვთ შვიდი და რვა კლასის დამთავრების ატესტატი.

სასწავლებელში ჩარიცხულნი უზრუნველყოფილი იქნებიან უფასო სამჯერადი კვებით, საზამთრო და საზაფხულო ტანისამოსით და სასწავლო ნივთებით.

რაიონიდან ჩამოსულნი მოთავსებული იქნებიან საერთო საცხოვრებელში. სასწავლებელში შესვლის მსურველებს შეაქვთ დირექტორის სახელზე განცხადება შემდეგი საბუთების დართვით:

1. პასპორტი (ვისაც შესრულებული აქვს 16 წელი წარმოადგენს პირადად), 2. დაბადების მოწმობა, 3. ცნობა განათლების შესახებ, 4. ცნობა ჯანმრთელობის შესახებ, საექიმო კომისიის მიერ შემოწმებული, 5. ცნობა საცხოვრებელი ადგილიდან, 6. სამი ფოტოსურათი (ზომა 3×4 სმ.).

განცხადების მიღება წარმოებს 30 აგვისტომდე სასწავლებლის კანცელარიაში, საბუთებდაურთველი განცხადება განხილული არ იქნება.

მისაღები გამოცდები იწარმოებს 30 აგვისტომდე, სასწავლებელში ჩარიცხვა ხდება გამოცდების ჩაბარებისთანავე 30 აგვისტომდე.

განცხადების გამოგზავნა შეიძლება ფოსტითაც შემდეგი მისამართით: თბილისი, მიასნიკოვის ქ. № 82, სასწავლებლის დირექტორის სახელზე, ტელეფ. № 3-45-08, 3-54-85.

**„საქსოფელექტროს" ელექტრომექანიკური ქარხანა** (კოდორის ქუჩა № 5) აცხადებს, რომ ორგანიზაციები, რომლებმაც ჩააბარეს ქარხანას სარემონტოდ ელექტრომოტორები, გენერატორები, ტრანსფორმატორები და სხვა მოწყობილობა 1949 წლის 1 იანვრამდე, ვალდებული არიან ერთი თვის ვადაში დღიდან ამ განცხადების გამოქვეყნებისა, ხელახლა გააფორმონ დაკვეთები. წინააღმდეგ შემთხვევაში დაკვეთები გაუქმებული იქნება და წაუღებელი მოწყობილობა სხვა ორგანიზაციებს გადაეცემა.


### 10 ივლისს კინოთეატრებში

| | |
|---|---|
| „რუსთაველის" სახელობის რუსთაველის პროსპ. 7 ტელ. 3-09-50 | „სიცოცხლით მოვაჭრენი" დასაწყ. 4, 6, 8, 10 ს. |
| „ოქტომბერი" პლეხანოვის პროსპ. 135 ტელ. 3-39-84 | „დავით გურამიშვილი" დასაწყისი 4-30, 6-30, 8-30, 10-30 ს. |
| „ამირანი" პლეხანოვის პროსპ. 125 ტელ. 3-48-61 | (საზაფხულო) „სიცოცხლით მოვაჭრენი" დასაწყისი 9, 11 ს. (ზამთრის) „სიცოცხლით მოვაჭრენი" დასაწყ. 4, 6, 8, 10 ს. |
| „თბილისი" ჯორჯიაშვილის ქ. № 2 ტელ. 3-57-88 | „სიცოცხლით მოვაჭრენი" დასაწყისი 4-30, 6-30, 8-30, 10-30 საათზე |
| „სპარტაკი" რუსთაველის პროსპ. 23 ტელ. 3-08-27 | (დღით) „ეულად მოსჩანს თეთრი აფრა" დასაწყისი 12, 2 ს. (საღამოს) „დაკარგული სამოთხე" ქართული ვარიანტი. დასაწყისი 4, 5-50, 7-50, 9-50 ს. |
| „კომკავშირელი" პლეხანოვის პროსპ. № 93 ტელ. 3-29-61 | (საზაფხულო) „სიცოცხლით მოვაჭრენი" დასაწყისი 9-15, 11 ს. (ზამთრის) „ამანგელდი" დასაწყ. 4, 5-50, 7-50, 9-50 ს. |
| 26 კომისრის სახელობის შაუმიანის მოედანი, 1 ტელ. 3-43-09 | (საზაფხულო) „დაგვიანებული სასიძო" დასაწყისი 9, 11 ს. (ზამთრის) I და II დარბაზი „სიცოცხლით მოვაჭრენი" დასაწყისი 12, 1, 2, 3, 4, 5, 6, 7, 8, 9, 10, და 10-30 ს. |


**სსრ კავშირის ქვანახშირის მრეწველობის სამინისტროს ქუთაისის სამთო ტექნიკუმი** აცხადებს მოსწავლეთა მიღებას 1949-50 სასწავლო წლისათვის ქართულ და რუსულ სექტორებზე. სპეციალობით: 1. ქვანახშირის ბუდობების ექსპლოატაცია 2. სამთო ელექტრომექანიკა.

I კურსზე მიიღებიან საბჭოთა კავშირის მოქალაქენი 14-30 წლის ასაკისა, რომლებსაც დამთავრებული აქვთ არასრული საშუალო სკოლა.

შემსვლელთათვის იწარმოებს მისაღები გამოცდები არასრული საშუალო სკოლის პროგრამით: მათემატიკაში (წერა და ზეპირი), რუსულ ენასა და ლიტერატურაში (წერა და ზეპირი), სსრ კავშირის კონსტიტუციაში (ზეპირი), ხოლო ქართულ სექტორზე შემსვლელთათვის, დამატებით ქართულ ენასა და ლიტერატურაში (წერა და ზეპირი).

პირველ კურსზე უგამოცდოდ მიიღებიან ის მოწაფეები, რომლებმაც არასრული საშუალო სკოლა დაამთავრეს 1948 და 1949 წლებში და ყველა საგანსა და ყოფაქცევაში აქვთ ნიშანი „5".

განცხადების მიღება წარმოებს 31 ივლისამდე, გამოცდები — 1-დან 20 აგვისტომდე.

განცხადებას უნდა დაერთოს: ავტობიოგრაფია, განათლების მოწმობა (დედანი), დაბადების მოწმობა (ცნობა), ცნობა ჯანმრთელობის შესახებ, ცნობა სამხედრო ვალდებულებისადმი დამოკიდებულების შესახებ და სამი შემოწმებული ფოტოსურათი (უქუდოთ, ზომით 3×4 სმ.) პასპორტი წარმოდგენილი უნდა იქნას პირადად.

ტექნიკუმში ჩარიცხული ყველა მოსწავლე უზრუნველყოფილი იქნება ფორმის ტანსაცმლით, საერთო საცხოვრებლით, სასადილოთი, სტიპენდიით 285-დან 390 მანეთამდე თვეში და შეღავათით საბჭოთა არმიის რიგებში გაწვევის დროს.

სწავლის ფრიადოსნებს სტიპენდია უდიდდებათ 25 პროცენტით.

წარმოებაში ერთი წლის მუშაობის შემდეგ, სამთო ტექნიკუმის კურსდამთავრებულთ ენიჭებათ პერსონალური წოდება და ქვანახშირის მრეწველობის მომუშავეებისათვის დადგენილი უფლება ორდენების, მედლების და ყველა შეღავათის მისაღებად. განცხადება მიიღება დირექტორის სახელზე შემდეგი მისამართით:

ქუთაისი, ლუნაჩარსკის ქუჩა № 6 სამთო ტექნიკუმი, ტელეფონი № 8-50.

კანცელარია ღიაა დილის 9 საათიდან საღამოს 5 საათამდე.


### თეატრებში

| | |
|---|---|
| რუსთაველის სახელობის (ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრის შენობაში) | 10-VII „ნ. ბარათაშვილი" სეზონის დახურვა |
| მუსიკალური კომედიის | 10-VII „სოფლის საამო საღამოები" |

ძმები ლადო, ნიკოლოზ, და ნადეჟდა ოჯახებით იუწყებიან **ილია ისაკის-ძე სვანიძის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 10, 11-VII, 7 ს. დაკრძალვა 12-VII, 6 ს. ორჯონიკიძის ქ. № 79.

დ. რომელაშვილი, ვ. ჭიაურელი, ი. მირცხულავა, ს. ბარამიძე, ქ. რაზმაძე, ვ. ჯაოშვილი, ო. ეგაძე, რ. წულუკიძე, ფ. ფიჩხაძე, დ. ჯაბუა, ვ. ჩალაძე, ვ. გრძელიძე, გ. ტრაპაიძე ოჯახებით თანაგრძნობას უცხადებენ შ. ჯეჯელავას მამის **ვლადიმერის** გარდაცვალების გამო.

ზ. სიმონიშვილი, ვ. ესაიაშვილი, ვ. ჭიაურელი, ა. თელია, გ. ბრეგაძე, თ. კოსტანაშვილი, ვ. მერკვილაძე, შ. ნემსაძე, ს. ლექავა, ბ. მანთიძე, მ. სეიდოვი თანაგრძნობას უცხადებენ სერგო ბოცვაძეს მისი მამის **არქიფო ბოცვაძის** გარდაცვალების გამო.

შვილები ლეო, ილია, რძლები ანია მაქაცარია, ლიზა შვილებით იუწყებიან **ოლღა ბათლომეს ასულ ჩანტლაძის** გარდაცვალებას. დაკრძალვა 12-VII, სოფ. ნიგოითში.

დედა ეკა, მეუღლე ვერა, შვილი კუკური, ცოლისძმები შალვა და ალექსანდრე ტყეშელაშვილები, დები მატრონა, თამარი, კატო, სიძე რაჟდენი, ცაცა, ამბროსი ტყეშელაშვილები იუწყებიან **ალექსანდრე რომანოზის-ძე დვალის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 10, 11-VII, 8 ს. დაკრძალვა 12-VII, 6 ს. ჩაიუბნის ქ. 4.

თბილსაზკვებტრესტის სამრეწველო, სასურსათო და ხილბოსტნეულის ბაზის თანამშრომლები თანაგრძნობას უცხადებენ ა. ა. ქუფარაშვილს მისი შვილის **გურამის** გარდაცვალების გამო.

მეუღლე დიმიტრი, შვილები: ალექსანდრე, ელენე, მარგო და თინა, რძალი შუშანა, სიძეები: გიორგი წითლანაძე, ირადიონ ყოლბაია და გიორგი წიქურაშვილი შვილებით იუწყებიან **სოფიო იაგორის ასულ ზაზიკაშვილის** გარდაცვალებას. დაკრძალვა 12-VII ქ. ხაშურში.

„გლავლესოსბიტის" საქართველოს განყოფილების თანამშრომლები თანაგრძნობას უცხადებენ შ. ჯეჯელავას მამის **ვლადიმერ მარკოზის-ძე ჯეჯელავას** გარდაცვალების გამო. დაკრძალვა 12-VII, 6 ს. ქ. სოხუმში, გამოსვენება ახალი პირველი ქ. № 8.

მეუღლე იულონი, შვილები: ალიოშა, ვალოდია, ჯაბა, რძლები: ეთერი, შურა ბალათურიები შვილებით იუწყებიან **ნინას** გარდაცვალებას. დაკრძალვა 12-VII—სოფ. ნოქალაქევში.

ს. ბუხაძე, ნ. ლაზარიშვილი, თ. გაგნიძე, ვ. პაიჭაძე, მ. ხაინდრავა, მ. გუკასოვა, ქ. მათიაშვილი, ო. ლობჟანიძე ლ. ჯანჯღავა მ. ხუტაშვილი, ვ. ტურგენიანი, გ. ლომთაძე, დ. ცაგარეიშვილი, მ ავალიშვილი, ქ. მიტიჩაშვილი, თ. უთმელიძე იუწყებიან ა. ბალათურიას დედის **ნინას** გარდაცვალებას.

ლანჩხუთის რაისაბჭოს აღმასკომის კომუნალური მეურნეობის განყოფილების მუშაკები იუწყებიან რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილისა და სოფლის მეურნეობის განყოფილების გამგის **ილია კალისტეს-ძე ჩხარტიშვილის** გარდაცვალებას.


რედაქციის მისამართი: თბილისი, ლენინის ქ. № 14, ტელეფონები: პასუხისმგებელი მდივნის—3-08-67, ხამდივნოსი — 3-06-88, განყოფილებებისა: პროპაგანდისა და პარტიული ცხოვრების—3-81-84, სასოფლო-სამეურნეოსი — 3-57-61, სამრეწველო-სატრანსპორტოსი და საბჭოთა მშენებლობისა — 3-80-83, კულტურის, ყოფაცხოვრებისა და ინფორმაციის — 3-80-84, ადგილობრივ კორესპონდენტთა ქსელისა და მშრომელთა წერილების — 3-73-24, მორიგისა და გამომშვების—3-81-65, გამომცემლობისა — 3-51-81, სტამბის დირექტორის — 3-77-70.

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", თბილისი, ლენინის ქ. № 14.

ტირაჟი 150.000

უე 00767